1960 3

პიონერი

6
1960

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ს. ხრუშჩოვი მცხეთაში

ფოტო გ. ვახტანგაძისა

ჟ ი ო ნ ე ლ ი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნოარჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

6

ივნისი
1960

გამოცემის წელი
XXXIV

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

	გვ.
კ. გოგიავა—მეტყევის ბიჭი (მოთხრობა)	2
ე. ქარელიშვილი—დანიელ ჭონქაძე (წერილი) . .	4
ნ. კილასონია—ვსწავლობთ, ვშრომობთ (ნარკვევი)	5
ს. ნასიბოვა—ჩვენი აზერბაიჯანი (წერილი) . . .	8
ვ. ალიევი—ქემალი (მოთხრობა, თარგმნა ლ. ერაძემ)	10
ჰ. ეფენდიევი ახალგაზრდა აზერბაიჯანი (ლექსი. თარგმნა ს. შამფრიანმა)	12
ალ. ბურთიკაშვილი—ცეკვის ჯადოქარი	13
მოსწავლეთა შემოქმედება	16
საინტერესო თემაზე	17
კ. გოგიაშვილი—პაპა გიგო (პიესა)	18
მარიჯანი—საქართველოს ბავშვებს (ლექსი) . . .	21
ა. ხომერიკი—სამი ამბავი (ნარკვევი)	22
გ. ნიშნიანიძე—ექვსი წლის მოჭადრაკე (ნარკვევი)	25
ბუნების კარი	27
გ. შერაზადიშვილი—ლახტი (წერილი)	28
საინტერესებთ?—გიპასუხებთ . . .	30
თ. ჯანგულაშვილი—მშობლიურ მხარეში (ლექსი)	30
შეეჩვიეთ წყალს (წერილი)	31
მოკლედ ყველაფერზე	32
თავისუფალ დროს . . . . გარეკანის . .	3

გარეკანის პირველ გვერდზე — „ჭიდაობა“ ნახ. **ჯ. ლოლუასი**; მეორე გვერდზე — „ნ. ს. ხრუშჩოვი მცხეთაში. ფოტო **გ. ვახტანგაძისა**; გარეკანის მეოთხე გვერდზე—**გ. გაბუნიას** ფოტოეტიუდი „გასეირნება“.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: **გ. თოთიბაძის, დ. ხახუტაშვილისა** და **ჯ. ლოლუას** მიერ.

რედაქტორი რევაზ მარგიანი
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე, რ. ელანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, რ. ჭორქია, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლიმენტი გოგიავა

ქეტყევის ხიჭი

ნახ. გ. თოთიბაძისა

მოთხრობა

ზღვის სანაპიროზე ისევ ცხელა, მოაგარაკენი არხეინად ბანაობენ, ტალღას ხან აღმა მიჰყვებიან და ხან დაღმა. მთა შორს არის, მაგრამ ზღვიდან მაინც ახლოს ჩანს, ისე ახლოს, რომ გივი თვალმა მოატყუა და მითხრა:

— ბურაბ, მოდი წავიდეთ მთაში!

— რას ამბობ, ბიჭო, სამი დღე და ღამე რომ ვიაროთ, მაინც ვერ ჩავალწევთ.

არ დამიჯერა და შემომეხვეწა:

— შენ მეტყევის შვილი ხარ, გზა და ბილიკი მომყევი. მერე, თბილისში რომ ჩამოხვალ, მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამ.

ძლივს გადავაფიქრებინე გივის მთაში წასვლა. სამაგიეროდ შინ დავპატიჟე და ფელამუშით გავუმასპინძლდი.

გივი თბილისში სწავლობს, ჩემსავით მეხუთე კლასშია, მამამ სოხუმში ჩამოიყვანა. ზღვაზე გავიცანი, ცურაობა არ იცოდა, ერთ კვირაში შევასწავლე. ახლა გაუბედავად იქნევს მკლავებს, მაგრამ არა უშავს, მალე დამეწევა.

კვირა დილას გივისთან სასტუმროში მივედი და შინ წავიყვანე. ჩემი სახლი გუმისთის პირას დგას, ტყის იქით.

ჩვენ რომ დაფნის აღმართზე ავედით, თეთრი შენობა გამოჩნდა და მეგობარს ვაჩვენე, აი, ჩემი სახლი-მეთქი.

— ახლოს ყოფილა!

ახლოს კი არა, კაი გზა გვაქვს გასავლელი! — გულში ვთქვი ჩემთვის. ძალზე მიხვეულ-მოხვეული გზა ზედ მდინარის ნაპირს მიჰყვება, მარცხნივ ანკარა გუმისთა ზღვისკენ მიჩხრიალებს, მარჯვნივ კი მაღალი მთაა ამართული და მთის ფერდობები დაფნის ბუჩქებით არის ჩამუქებული. აქ, ბიჭები დაფნის ფოთოლს ვკრეფთ, ციცაბოებზე სიარული ძალიან ძნელია, ფეხი რომ დაგიცდეს, მორჩა... აქ კაცი ვერ მიუდგება და ამიტომაც დაფნამ ტანი აიყარა. ზოგან ისე გაიზარდა, რომ ფიჭვივით წერწეტი გახდა. ეს ხეები მოშავო მარცვალს ისხამს, შემოდგომაზე ცვივა და ქვევით ღარში გროვდება. ეს მარცვალი დაფნის თესლია, მე და მამამ შარშან ორი ფუთი მოვაგროვეთ. ერთი მუჭა სკოლაში მივუტანე მასწავლებელს, გაეხარდა. სკოლის ეზოში დავთესეთ და ამოვიდა.

დღეს დილით დედამ ცოტა ადრე გამომიშვა სახლიდან, თან ტომსიკაც გამომატანა. მითხრა, გამოქვაბულისკენ გაიარე, იქნებ დაფნის თესლს წააწყდეო. მე ავუარე გამოქვაბულს, შემდეგ ღარს ჩავყევი და იქ დაფნის თესლით ტომსიკა გავავსე: ტომსიკა ქვემოთ, გზის პირას ბუჩქებში შევმალე.

ახლა ნაცნობ ადგილს მივადექი, მაგრამ ყველა ბუჩქი ერთმანეთს ჰგავს და ჩემს ტომსიკას თვალი ვერსად მოვკარი. გივიც დამეხმარა. როგორც იყო მოვნახეთ ტომსიკა, გივის დაფნის თესლი მოეწონა, ცოტაოდენი ჯიბეში ჩაიყარა.

— შინ რომ ჩავალ, ქოთანში ჩავთესავ, დედას გაუხარდება, დაფნის ფოთლით კერძებს ანელებს, უყვარს მისი სურნელი.

ტომსიკა მხარზე გავიდევი და გზას გავუდექით. გივის ღორღიან ბილიკზე სიარული უჭირს, აცა-ბაცა ადგამს ფეხებს, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხს, ხმას არ იღებს, რომ ჩამომრჩება, ფეთიანივით გამოქანდება და გამისწრებს.

უცებ ისეთი გრუხუნი ატყდა, თითქოს ქვემეხი დასცალესო. ჯერ შემეშინდა, მაგრამ მერე გონს მოვეგე, მივხვდი რაც იყო.

— რა ამბავია?!

— მომყევი, გივი!

ქვემოთ ბილიკს დავადექი და ერთ წუთს გუმისთის პირას გავჩნდით, გივიც ჩემთან იყო, გული მომეცა.

ამღვრეული წყალი ნაფოტებივით მიაფარფატებდა გულგამსკდარ თევზებს. იქვე ხის ქვეშ „პობედა“ იდგა, ორი ტიტველი კაცი წყალში თევზებს იჭერდა, ერთიც იქვე ნაპირზე დაგვიხვდა.

ლაღუმის აფეთქებამ თევზიყლაპიებს მოუხმო: თევზიყლაპიები, თუ სადმე ახლო-მახლო იყვნენ, სულ იქ მოფრინდნენ, დაჰყვნენ მდინარის დინებას და ზედაპირზე მოფარფატე თევზებს წარამარა იტაცებდნენ.

მამამ მითხრა, ლაღუმის ხმა წინათ თევზიყლაპიებს ძალიან აფრთხობდა, გულგახეთქილები შორს მიჰქროდნენ, მაგრამ თანდათან მიეჩვივნენ, გაუტკბათ უშრომელი ლუკმა და ახლა გრუხუნს რომ გაიგონებენ, მეთევზეებს ასწრებენ წყალში ჩასვლასო.

ნაპირზე მდგარი კაცი მაღალი იყო, მოკლედ შეკრეჭილი ულვაში ჰქონდა, თავზე ფართოფარფლებიანი ჭილის ქუდი ეხურა. ჩვენ რომ მივუახლოვდით, მოფერებით გვითხრა:

— აბა, ბიჭებო, გვიშველეთ და თქვენც გიწილადებთ თევზს!

გული ყელში მომებჯინა, ენა ვერ მოვაბრუნე.

მაღალი კაცი, ვითომც არაფერი, მიყურებს და იღიმება:

— ჰა, რას უდგეხარ, გვიშველე!

— რაში გიშველო, ბიძია, თევზების განადგურებაში?!

— ჰაიტ, როგორი ყოფილხარ შენ! ვისი ხარ ასეთი ყოჩაღი!

— ვისიცა ვარ! აი, ახლავე მოვიყვან მამას!

და გაქცევა დავაპირე, მაგრამ მაღალმა კაცმა მკლავში მტაცა ხელი. ღონიერი იყო, ფეხი ვერ გადავდგი. ტომსიკა დამივარდა, დაიბნა დაფნის თესლი.

— აი, ვინ ყოფილხარ შენ, ხომ დაგიჭირე! ნაკრძალში თესლს აგროვებ, ყიდი! — აქეთ მომდო შარი.

— არაფერიც! კოლმეურნეობას ვუგროვებ! ხელი გამიშვი! — გავიბრძოლე, მაგრამ მკლავზე უფრო მომიჭირა თითები. გივის გული მოეცა.

— ამხელა კაცს არ გრცხვენიათ, ბავშვს მოერიეთ?!

— გივი გაიქეცი, მამა მოიყვანე! — შევძახე მე. მაღალი კაცი უცებ გივის წვდა, ამასობაში მე დრო ვიშოვე და ისე მოვკურცხლე, ქარიც ვერ დამეწეოდა. გივი კი იმას შევატოვე ხელში. სამშვიდობოზე რომ გამოვედი, მეგობარს დავუძახე.

— ნუ გეშინია, ამ წუთში მამას მოვიყვან!

გავიქეცი თუ გავფრინდი აღარ მახსოვს. მამა შინ არ დამხვდა.

— ახლახანს წავიდა, აქ იქნება სადმე ახლო-მახლო დაუძახე და მოვა! — მითხრა დედამ.

ალაგაზე შევდექი, ჯერ ერთხელ დავუსტვინე, მერე მეორეჯერ. ტყემ აიტაცა ჩემი ხმა, იმ წუთში მამაც გამომეხმაურა: ისეთი სტვენა იცის, ორ კილომეტრზე გაიგონებს კაცი.

ჩემი თოფიანი მამა თავზე დავაყენე „მეთევზეებს“. ხმა ვერ ამოიღეს. მათ უკვე მოესწროთ შარვალ-ხალათის ჩაცმა. ცოტა რომ დამგვიანებოდა, მორჩა — გაგვასწრებდნენ.

ორი კალათი თევზით იყო სავსე. ჯატარა, გაბრუებული ლიფსიტები ჯარა-ჯარა ეყარა ნაპირზე. ვინ იცის, რამდენი კიდევ ტალღებმა გაიტაცეს... საბრალო თევზები! როგორ უმოწყალოდ ამოჟლიტეს!

მაშამ საბჭოში წაიყვანა ისინი.

ტომსიკა იღლიაში ამოვიდე, გივის ხელი გადავხვიე და შინისაკენ გავუდექით გზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიელ ჭონქაძე

თბილისი, ჩვენი ძველისძველი დედაქალაქი, თვალს იტაცებს და გულს ახარებს თავისი მდიდარი და მრავალმეტყველი ისტორიული ძეგლებით, ხეივნებით დაფარული ლამაზი პარკებითა და სახელოვან წინაპართა წმიდა საფლავებით. თბილისი—ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი შემოქმედებითი ცხოვრების დიდებული მატიანეა. აქ ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით ისეთ ადგილს, რომელსაც გულგრილად ვერ ჩაუვლით გვერდს, ერთი წუთით მაინც შეჩერდებით, თვალს შეავლებთ და გული პატრიოტული სიამაყით აგიძგერდებათ.

ერთი ასეთი ღირსშესანიშნავი ადგილია კიროვის სახელობის პარკი, რომელიც ოდესღაც ვერის ძველი სასაფლაო ყოფილა.

აქ, შადრევნის დასავლეთით ათიოდე ნაბიჯზე, ნახავთ ყვავილებით შემოსილ უბრალო საფლავს, რომლის ქვაზე ამოკვეთილია წარწერა:

„დ ა ნ ი ე ლ ჭ ო ნ ქ ა ძ ე
1830-1860“

მადლიერმა ქართველებმა თავისი სახელოვანი შვილის საფლავს ასი წლის წინათ დაადეს ეს ქვა. ჩვენმა თაობამ კი ის, სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად, ყვავილებით შეამკო.

წელი წელს მისდევს, დროის განმავლობაში ბევრი რამ დავიწყებას ეძლევა, მაგრამ ვინც ერთხელ ხალხის გულში ღრმად შეიჭრება, ფესვს გაიდგამს, იგი არასოდეს არა კვდება. ასეთ უკვდავთა რიცხვს ეკუთვნის მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი მწერალი, „თერგდალეულთა“ სახელოვანი წინაპარი, კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი დამამკვიდრებელი დანიელ ჭონქაძე.

დანიელ ჭონქაძე წარმოშობით გლეხთა წოდებას ეკუთვნოდა, მაგრამ მის მამას, გიორგის, სასულიერო განათლება ჰქონდა მიღებული და ჩრდილოეთ კავკასიაში მღვდლად მსახურობდა. დანიელი რვა წლისაც არ იყო, როცა ჭონქაძეების მთელი ოჯახი სოფელ ყვავილიდან ვლადიკავკავში გადასახლდა. დედის დახმარებით პატარა დანიელმა ადრე შეისწავლა ქართული წერა-კითხვა. რვა-ცხრა წლის ბავშვი გატაცებული იყო ფოლკლორით, მან ზეპირად იცოდა მრავალი ზღაპარი, ლეგენდა, თქმულება.

1839 წელს დანიელი ვლადიკავკავის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. ბავშვი თავიდანვე გულმოდგინედ დაეწაფა სწავლას და თავისი ნიჭითა და სიბეჯითით მაშინვე მიიქცია მასწავლებელთა ყურადღება. დანიელი დიდად გამოირჩეოდა ტოლამხანაგებში ცოდნითა და იშვიათი ცნობისმოყვარეობით, იგი ცხოველი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ყოველივე იმას, რაც მის გარშემო ხდებოდა, გატაცებით კითხულობდა მხატვრულ ლიტერატურას და ისტორიული ხასიათის წიგნებს.

ამასთან ერთად, პატარა დანიელი მეტისმეტად გულისხმიერი, ხალისიანი ბუნებისა და კარგი მოსაუბრე იყო. სკოლიდან შინ დაბრუნებული, როცა გაკვეთილების მომზადებას მორჩებოდა, მთელ დროს მეზობლებში ატარებდა, განსაკუთრებით დაახლოებული იყო ბავშვებთან. უკითხავდა მათ ქართულ ზღაპრებს და გატაცებით ისმენდა ოსურ იგავ-არაკებსა და თქმულებებს. მალე დანიელმა ისე კარგად შეისწავლა ოსური ენა, რომ სრულიად თავისუფლად ლაპარაკობდა.

1845 წელს, ვლადიკავკავის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, დანიელ ჭონქაძე თბილისში გადმოდის და სწავლას აგრძელებს სასულიერო სემინარიაში. სემინარიაში სწავლის პერიოდში იგი ეცნობა რუსულ ლიტერატურას. განსაკუთრებით იტაცებს მას პროგრესულ მწერალთა ნაწარმოებები, რომლებშიც მხილებულია იმდროინდელი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების მანკიერებანი, გულს უთბობენ და გონებას უფორიაქებენ რადიშჩევის, ბელინსკის, გერცენისა და სხვათა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები.

როდესაც 1851 წელს თბილისის სასულიერო სემინარია დაამთავრა და სტავროპოლის სემინარიაში ოსური ენის მასწავლებლად დანიშნეს, დანიელს უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ მთელი თავისი ცოდნა და ენერგია უანგაროდ მოეხმარებინა ხალხისათვის. მთელ დროს იგი დაუღალავ შემოქმედებითს ძიებაში ატარებდა, სოფლიდან სოფელში დადიოდა, ხვდებოდა ახალგაზრდებსა და მოხუცებს, ესაუბრებოდა მათ საჭირბოროტო საკითხებზე, იწერდა მათგან ოსური ფოლკლორის ნიმუშებს, აწყობდა ლექსიკონს, სწავლობდა ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და ჩვეულებებს.

სტავროპოლში დანიელ ჭონქაძე მხოლოდ ოთხი წელიწადი დარჩა. იქ დაოჯახდა და 1855 წლის აპრილში საბოლოოდ თბილისში გადმოვიდა.

სასულიერო სემინარიის მასწავლებელი, რომელსაც მამა აღარ ჰყავდა და მის კმაყოფაზე იყვნენ: და, დედა და მეუღლე, მეტად ხელმოკლედ ცხოვრობდა. ფიზიკურად სუსტი დანიელი დაძაბულ შრომას ეწეოდა, ასრულებდა კერძო სამუშაოებს, ოსურ ენაზე თარგმნიდა სხვადასხვა ლიტერატურას, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით ადგენდა ოსურ ლექსიკონს და სხვ. გარდა ამისა, თბილისში გადმოსვლის პირველ დღიდანვე იგი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობასაც შეუდგა.

ბიოგრაფების გადმოცემით დანიელ ჭონქაძეს შეუდგენია მოწინავე ახალგაზრდობის წრე, რომელსაც ბევრი „ბრწყინვალე იდეა და განზრახვა ჰქონია“. ამ წრეში არჩევდნენ რუსეთის გამოჩენილ მწერალთა ნაწარმოებებს, არკვევდნენ თანამედროვეობის აქტუალურ სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს, რომელთა შორის მთავარი ადგილი ეჭირა ბატონყმური ურთიერთობის საკითხს, რაზეც მაშინ გაცხოველებით მსჯელობდა რუსეთის მთელი მოწინავე ინტელიგენცია. საფიქრებელია, რომ დანიელ ჭონქაძეს „სურამის ციხის“ დაწერის იდეა სწორედ ამ პერიოდში დაებადა.

ამ დაძაბულმა მუშაობამ და იმ დიდმა უბედურებამ, რაც მას მეუღლის მოულოდნელი გარდაცვალებით თავს დაატყდა, დანიელის ისედაც სუსტი ჯანმრთელობა თანდათან გასტეხა, ჭლექმა თითქმის ლოგინად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩააგდო და ეს მგზნებარე პატრიოტი, მაღალნიჭიერი და კეთილბუნებოვანი ადამიანი 1860 წლის 16 ივნისს სიცოცხლეს გამოეთხოვა.

დანიელ ჭონქაძის სახით ქართველმა ხალხმა უდროოდ დაჰკარგა შესანიშნავი შვილი, რომელმაც თავისი ხანმოკლე სიცოცხლის ყოველი წუთი მშრომელთა ბედნიერებისათვის ფიქრსა და ზრუნვაში გაატარა.

დანიელ ჭონქაძე გარდაიცვალა ოცდაათი წლის ასაკში,—სწორედ მაშინ, როცა იგი, გონებრივად სავსებით მომწიფებული, ფართო და ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას იწყებდა.

„სურამის ციხე", რომელიც 27-28 წლის ახალგაზრდამ დაწერა, ნათლად გვიჩვენებს, რომ მის ავტორს ხალხის ცხოვრების ღრმა ცოდნასთან ერთად დიდი მხატვრული ალღო ჰქონდა. მოთხრობა გვხიბლავს და გვიტაცებს ხასიათების თავისებურებებით, მოვლენების ასახვის იშვიათი უშუალობითა და გასაოცარი მამხილებლური ძალით. პერსონაჟების მოქმედებისა და ფსიქოლოგიური განცდების სიმართლით „სურამის ციხემ" სწრაფად გაიკვლია გზა ხალხის გულისაკენ. შეუძლებელია მეცხრამეტე საუკუნის ჩვენს ლიტერატურაში დავასახელოთ მანამდე შექმნილი მეორე პროზაული ნაწარმოები, რომელსაც ასეთი დიდი გამოხმაურება ჰქონოდეს ხალხსა და მწერლობაში.

„სურამის ციხე" გამოქვეყნებისთანავე (დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკრის" 1859 წლის მე-12 და 1860 წლის პირველ ნომრებში) ზეპირად შეისწავლა ხალხმა; მე მახსოვს როგორ გვიამბობდა ბავშვებს ოთხმოცი წლის მოხუცებული, წერა-კითხვის უცოდინარი პაპა სწორედ დ. ჭონქაძის „სურამის ციხეს", თავისი მხატვრული გადახვევებითა და ლირიკული წიაღსვლებით.

ჭონქაძის მიერ ბატონყმობის წინააღმდეგ გადასროლილი ნაპერწკალი ალად იქცა, ყუმბარასავით გავარდა და ძლიერად შეარხია იმდროინდელი მდორე ატმოსფერო; რეაქციულმა ფენებმა მაშინვე ულმობელი ბრძოლა გამოუცხადეს მწერალს, ხოლო მოწინავე საზოგადოება გაბედულად გამოექომაგა, გვერდში ამოუდგა და მის „სურამის ციხეს" მაღალი შეფასება მისცა. ჩვენმა დრომ კი დანიელ ჭონქაძისა და მის ნაწარმოებს ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა ქართული მწერლობის ისტორიაში.

ერემია ქარელიშვილი

ვსწავლობთ ეროვნულ

მანანას თოჯინა

გოგონა აღმართზე ამორბოდა. მკერდში ჩაეკრა ახალთახალი თოჯინა—მარმაშის კაბაში გამოწყობილი, კოპწია. გამვლელები გაკვირვებით შესცქეროდნენ თოჯინას და მის პატრონს. „რაღა დროს ამის თოჯინაა!"—წამოცდა ერთ დეიდას. მართლაც, მანანა უკვე მოზრდილი გოგონაა, მეექვსე კლასის მოსწავლე. „რად უნდა თოჯინა?"—გაიკვირვებთ თქვენც. ამ კითხვით შეხვდნენ ეზოს ბავშვებიც. მანანამ გაიღიმა, კიბეზე უსიტყვოდ აირბინა... აი, მისი კუთხე, მაგიდაზე კოხტად ჩამწკრივებული წიგნები, გაშლილი რვეული, სადაც რაღაც ჩანახაზებია გაკეთებული. მანანამ თოჯინა აიტაცა და ერთ წამში გახადა მშვენიერი კაბა; აზმანა, ჩაზმანა დედოფალა, მერე დიდ ხანს გულმოდგინედ ჭრა თარგები...

ეს ფერადი ნაჭრები, ესეც ნემსი და ძაფი... საღამომდე იჯდა მანანა მაგიდასთან. გაუჭირდა, ძალიან გაუჭირდა გაუწაფავ თითებს ნემსისა და ძაფის ხმარება, მაგრამ რა ამაყად ჩამოატარა სულ სხვა კაბაში გამოწყობილი თოჯინა, ყველას უჩვენა, ყველას უამბო, რომ სკოლაში, მეოჯახეობის კაბინეტში დეიდა მელანო ამეცადინებს მანანასა და მის ტოლებს. ამ კაბინეტში მათ საკერავი მანქანაც უდგათ, დიდი დაფაც, სადაც პედაგოგი მელანო ხიზანიშვილი მრავალნაირ თარგებს ხაზავს; მაკრატლებს, ფერად ძაფებს ხომ ვინ მოსთვლის. ამ ნივთებს დასტრიალებენ თავს მანანას მეგობრები: ლილი დუხოშვილი, ვიოლეტა შატვეროვი, ელზა ჭიჭინაძე და სხვები. როგორ გაიხარებს დეიდა მელანო, როცა მანანა საკუთარი ხელით გამოწყობილ თოჯინას

დღეს სადურგლო სახელოსნოში ახალი შეკვეთაა მოსული: რანდავენ ფიცრებს, კრავენ მანდარინის ყუთებს ნორჩი ხელოსნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩვენებს! აი, ეს თეთრი პერანგი, ეს ჩაგვირისტებული წითელი კაბა! განა სათამაშოდ უნდოდა თოჯინა მანანას!

ჩვენ ვიცით, რომ მრავალი თქვენგანი მეცადინეობს მეოჯახეობის კაბინეტში, გულით გსურთ ჭრა-კერვა ისწავლოთ. მაშ, ნუ შეგრცხვებათ შეიძინოთ თოჯინები, ისინი დიდ დახმარებას გაგიწევენ: ჯერ მათ ტანსაცმელზე გაიწაფებით, მერე კი იმასაც მიაღწევთ, რომ ტანზე საკუთარი ხელით შეკერილ კოხტა კაბებს მოირგებთ! ამას გირჩევთ თბილისის 87-ე სკოლის მეექვსეკლასელი მანანა მგალობლიშვილიც...

ლალი დიასახლისობს

გაკვეთილები უკვე დამთავრდა. ლალი სვანიძემ წიგნები ჩააწყო ჩანთაში და სახლისაკენ გაუდგა გზას. დაფიქრებულია დღეს ლალი: საყვარელი ბებია ავადაა. დედა და მამა სახლში საღამომდე არ დაბრუნდებიან...

ბებიამ ბალიშიდან აიღო თავი და შვილიშვილს გაუღიმა. ლალი დაბაყრდა. მერე ბებიას მიუჯდა და ახალი სათავგადასავლო წიგნი გადაშალა. კარგა ხანს მისდევდნენ ბებია და შვილიშვილი გმირის საინტერესო ცხოვრების გზას: ბობოქრობდა ზღვა, ტყდებოდა ანძები, ჯუნგლებში კი დახტოდნენ მაიმუნები და ჭყიოდნენ ჭრელი თუთიყუშები...

უყვარს საოჯახო კაბინეტი ლალი სვანიძეს. რამდენი კარგი კერძის დამზადება შეისწავლა აქ გოგონამ.

საინტერესო ამბავი ზარმა შეწყვიტა. ლალი ზანტად გაემართა კარისაკენ. კარებში ჭაღარა კაცი იდგა. იცნო გოგონამ სოფლიდან ჩამოსული სტუმარი. იცნო და ოთახში თავაზიანად შეიპატიჟა. სიხარულით მიიღო ბებიამ დიდი ხნის უნახავი ნათესავი. წამოდგომაც კი დააპირა, მაგრამ არც სტუმარმა დაანება და არც შვილიშვილმა. შეწუხდა ბებია — საღამომდე უსადილოდ როგორ დაგტოვო შორი გზიდან ჩამოსული კაცი. ლალი უხმოდ გაბრუნდა სამზარეულოსაკენ. „ჩქარა, ჩქარა! ჯერ ნავთქურაზე შემოვდგა ტაფა, ახლა იმ თაროს ავწვდე. იქ მგონი კვერცხები აწყვია. კარტოფილი სუფთად უნდა დავჭრა, გავრეცხო, ეს წინსაფარი მაინც სად დამეკარგა?“ — ფუსფუსებს გოგონა, მეოჯახეობის კაბინეტში რამდენჯერ დაუმზადებია გემრიელი ტაფამწვარი, დაუკეპავს ხორცი, აკი კედლის გაზეთშიაც დაწერა: „გვიყვარს გემრიელი კერძები“... აქ კი, საკუთარ სამზარეულოში, ღელავს ლალი, ასე ჰგონია დიდ გამოცდას აბარებს. მაგრამ საქმემ თავისი გაიტანა — დაინჯდა ლალი, სამზარეულოშიც გემრიელი სურნელება დატრიალდა. ახლა მთავარია სუფრის გაწყობა. რომელ მხარეს უნდა დაუწყოს სტუმარს დანა-ჩანგალი — მარცხენა თუ მარჯვენა მხარეს? სუფრას შნო და ლაზათი უნდა ჰქონდეს. აი, ეს ყვავილები რარიგ დაშვენდება. და მართლაც, ლალიმ ქათქათა სუფრის შუაგულში ყვავილების თასი წამოასკუპა. გახარებულ ბებიას თვალები უბრწყინავდა. სტუმარმა კი დიდი მარჯვენა დაადო მხარზე ცეროდენა გოგონას და ალერსიანად ჰკითხა: „სად ისწავლე ბიძია, ასეთი გემრიელი კერძების დამზადება?“

პატარა დიასახლისმა თავი დახარა და მორცხვად წაიდუდუნა: „ჩვენთან, სკოლაში“.

გატეხილი მერხი

ნათელ სახელოსნოში ჩარხი გრიალებს, ხმიანობს საბურღი, სარანდავი, სახარატო დაზგა. კრიალა დაფაზე დასამუშავებელი დეტალის ნახაზებია მოცემული. კრონფარგლებზე, ბრტყელტუჩებზე, საჭრისებზე დაუხრიათ თავი გიორგი ხოსიტაშვილს, შოთა გელენიძეს, ამანგელდი იმანოვს, გივი ყარყარაშვილს, ნოდარ ლუარსაბიშვილს. პედაგოგი გრიგოლ ჩაჩუა ჩერდება მათთან, უხსნის, არიგებს... რა გულმოდგინედ, რა დინჯად რანდავენ, ჭრიან, ქლიბავენ პატარა ხელები. შრომის სიხარული ყველაზე ძვირფასი რამაა ამ ქვეყნად. იციან მეგობრებმა, რომ ერთიორი წელი და... დატოვებენ მშობლიურ სკოლას, გავლენ ცხოვრების დიდ გზაზე. და განა გულხელს დაიკრეფენ. ზოგი უმაღლესს მიაშუ-

რებს, ზოგი კი დაზგებს. ჰოდა, ახლავე იწაფებიან საყვარელი ხელობისათვის, რადგან სამშობლოს ჭირდება არა მარტო ექიმები, პედაგოგები, ინჟინრები, არამედ კვალიფიციური ზეინკლებიც, ხარატებიც, დურგლებიც. აი, თუნდაც მათ მიერ დამზადებული ეს ხელსაწყოები. განა რითი ჩამორჩებიან ისინი ნამდვილ სახელოსნოში დამზადებულებს? თბილისის ტარის 1-ლი ქარხანაც ყოველთვის ხელგაშლით აძლევს ამ ხელსაწყოთა დეტალებს. ახლა სადურგლო სახელოსნოში შევიხედოთ. ყველგან ყუთები, ფირფიცრები; ხერხის წრიპინს ხომ ხულარ იტყვით! ზამბარასავით იშლება ქათქათა ბურბუშელა, ლურსმანზე ჩაქუჩები წკარუნობენ. „ნეტავ რად გინდათ ამდენი ყუთები?“ — ხშირად ეკითხებიან ხოლმე ბიჭებს შემოსწრებულები. ბიჭები კი შეთქმულებივით გადახედავენ ერთმანეთს და ჩაიცინებენ. მათ თავი მოწონთ, რომ ზევით, სკოლის დირექტორის — პატივცემული მიხეილ სვანიძის მაგიდაზე ხელშეკრულების ფურცელი დევს. დიაღ, ეს ნამდვილი ხელშეკრულებაა, სადაც წერია, რომ თბილისის მარგარინის ქარხანა ხელშეკრულებას უდებს 87-ე სკოლას იმაზე, რომ სკოლის სახელოსნოში დამზადდეს ამდენი და ამდენი მარგარინის ჩასაწყობი ყუთი. პედაგოგმა ალბერტ ჟენჭოშვილმა ისე დააოსტატა ბავშვები, რომ ახლა მათთვის ყუთების გაკეთება იოლი საქმეა. საკლასო კარადები, სააფთიაქო ყუთები, საკიდები, — აი, რა შესძინეს მშობლიურ სკოლას ნორჩმა ოსტატებმა.

საერთო შრომამ კიდევ უფრო დაამეგობრა ბიჭები. ის ამბავი კი, რომელიც ახლა უნდა გიამბოთ, შეიძლება სადაოდ გახდეს თქვენთვის, ჩვენო მკითხველებო.

ნოდარ ლუარსაბიშვილი და გივი ყარყარაშვილი პატარა, მეხუთეკლასელი ბიჭები არიან. მაგრამ მათ უკვე დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. ერთად გადაშალეს „დედაენა“, ერთად ამოხსნეს პირველი ამოცანა და სადურგლო ბრიგადაშიც ერთად მივიდნენ.

ერთხელ კლასში ახალთახალ, პრიალა მერხს გადასაკეცი მოსტეხა ვილაცამ. შეწუხდა ჯგუფხელი. ცელქი დამნაშავე კი არ იქნა და არ გამოჩნდა. ნოდარსა და გივის დღესაც არ გაუთქვამთ ონავარი, თუმცა ორივემ კარგად იცის, თუ ვინ გატეხა მერხი. ოატრიალდნენ ბიჭები, დიდ დასვენებაზე სახელოსნოდან ამოიტანეს საჭირო მასალა და მერხი შეაკეთეს. ასე რომ, გატეხილი მერხის ამბავი უფროსების ყურამდე არ მისულა, თქვენ როგორ იტყვით — სწორად მოიქცნენ თუ არა ისინი, როცა თანაკლასელი არ გათქვეს? ერთი რამ კი ცხადია: მათ პრაქტიკულად გამოიყენეს სახელოსნოში შეძენილი ცოდნა, რაც მისასალმებელია.

შრომისმოყვარენი

თქვენ ალბათ ყველანი გახვედით საპირველმაისო დემონსტრაციაზე, ალისფერი ყელსახვევებით, დროშებითა და ყვავილებით დამშვენებულნი. რამდენი საინტერესო რამ ნახეთ იმ დღეს. თქვენი დედები, მამები, უფროსი და-ძმები მწყობრად მიაბიჯებდნენ. გრიალი გაქონდათ მორთული ავტოკოლონებს. მათ თქვენი ტოლების წკრიალა ხმები უერთდებოდა. იმ დღეს 87-ე სკოლის ბიჭები ლამაზ ქულაჯებში გამოწყობილნი გამოვიდნენ. უხდებოდათ ცისფერი კანტები თეთრ ქულაჯებს. გოგონებს კი თეთრი კაბები შვენოდათ. უკვირდათ მაყურებლებს: ასე ერთნაირად ვინ გამოაწყო ამდენი მოსწავლეო. ეს საქმე არც ისე იოლი იყო, მაგრამ მკერავმა გოგონებმა მტკიცედ გადაწყვიტეს — ქართული ეროვნული ტანსაცმლით გამოსულიყვნენ გაზაფხულის ზეიმზე. 140 ქულაჯამ და კაბამ მათ ხელში გაიარა. გამოჭრეს, შეკერეს. მღებავთა ბრიგადის ბიჭებმა კი ფერადი კანტებით მოხატეს ქულაჯები. ხის პატარა ხანჯლებიც მათვე გაამზადეს. თან იცინოდნენ: „ღებვა სწორედ ჩვენი საქმეაო“. და მართლაც, ახალი სასწავლო წლის დასაწყისში, შემლესავთა ბრიგადასთან ერთად სწორედ მათ შეაკეთეს სკოლის შენობა. ამით 3.000 მანეთზე მეტი დანაზოგი მისცეს მშობლიურ სკოლას.

შაუმიანის ქუჩაზე, იქ, სადაც კინოთეატრი „ისანია“, მაღალი, თეთრი შენობა სდგას. ესაა 87-ე ქართული სკოლა. გაფოთლილან სკოლის ნაკვეთზე ხეხილები, კვლებიდან ბოსტნეულს ამოუყვია თავი. ფუტკრებივით ფუსფუსებენ ბავშვები, თავს დაჰხარიან ნაამაგარს. კეთილად ეღიმება სკოლის დირექტორს — პატივცემულ მიხეილს: რა კარგები, რა შრომისმოყვარენი იზრდებიან ეს ბავშვები!

ნაზი კილასონია

ფოტო თ. სახაროვისა

აი, როგორი გულმოდგინებით უკერავდნენ ქულაჯებს მეგობრებს ოთხმოცდამეშვიდე სკოლელი გოგონები.





ჩვენი აზერბაიჯანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა აზერბაიჯანს 40 წელი შეუსრულდა. ჩვენი მოძმე რესპუბლიკის ეს დღესასწაული, მთელი ჩვენი ქვეყნის დღესასწაულია.

ძველად ჩამორჩენილმა, ნახევრად ფეოდალურმა ქვეყანამ, საბჭოთა ერების ძმურ ოჯახში, ორმოცი წლის განმავლობაში, არნახულ წარმატებებს მიაღწია. ეს ეხება ცხოვრების ყველა მხარეს: სახალხო მეურნეობას, სოფლის მეურნეობას, კულტურასა და სახალხო განათლებას. საბჭოთა ერების ძმურ ოჯახში, მადლიერი აზერბაიჯანელი ხალხი მომავალშიც გაამრავლებს თავის მიღწევებს.

საბჭოთა აზერბაიჯანი ჯერ სრულიად ახალგაზრდა რესპუბლიკაა—მიმდინარე წლის აპრილში მას თავისი არსებობის მხოლოდ 40 წელი შეუსრულდა. სულ სხვა იყო აზერბაიჯანი ამ ორმოციოდე წლის წინათ, სულ სხვაა იგი დღეს. აზერბაიჯანელმა ხალხმა საბჭოთა ერებთან მჭიდრო კავშირით შეძლო სოციალისტური ცხოვრების ფართო გზაზე გამოსვლა.

ვინ იცის, რამდენი უბედურება და ვაება მოუტანა ძველად ბაქოელ მშრომელებს ნავთობით გაჟღენთილმა მშობლიურმა მიწამ. უცხოელი და ადგილობრივი კაპიტალისტები უსირცხვილოდ ყვლეფდნენ, 12—13 საათს ამუშავებდნენ მუშებს. ოქტომბრის რევოლუციამდე ჩამორჩენილ, პატრიარქალურ აზერბაიჯანში გლეხებს ერთი გოჯა მიწა არ გააჩნდათ. ახლა აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობა ნახევრადფეოდალურ წყობილებიდან სოციალისტურ საკოლმეურნეო წყობილებაზე გადავიდა. ამან დიდად შეცვალა გლეხების მდგომარეობა. გლეხობას შრომა შეუმსუბუქა ტრაქტორმა და კომბაინმა. სოციალისტური ეკონომიკის წინსვლამ უზრუნველყო მუშამოსამსახურეთა ხელფასის და კოლმეურნეთა შემოსავლის ზრდა, მათი მატერიალური კეთილდღეობა.

აზერბაიჯანში, ძველად, ასი კაციდან ოთხმოცდაჩვიდმეტმა არ იცოდა წერა-კითხვა. ახლა კი წერა-კითხვის უცოდინარი თითქმის აღარავინ არის. საბჭოთა ხელისუფლების დროს რესპუბლიკაში გაიხსნა ათასობით სკოლა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი; შეიქმნა უმაღლესი სკოლები, რაც რევოლუციამდე აზერბაიჯანში არ ყოფილა. ახლა მთელს რესპუბლიკაში განხორციელებულია საყოველთაო შვიდწლიანი სწავლება, ხოლო ბაქოსა და სხვა დიდ ქალაქებში ხორციელდება საყოველთაო საშუალო სწავლება. წლითიწლობით მდიდრდება აზერბაიჯანის ლიტერატურა.

აზერბაიჯანს ახლა მრავალდარგოვანი მრეწველობა აქვს. რევოლუციამდელი აზერბაიჯანის ინდუსტრიის

ამაყად დასცქერის ახალ ბაქოს სატელევიზიო კოშკი.

კომინტერნის ქუჩა ერთ-ერთი ლამაზი მაგისტრალია. აქვე აღმართულა დიდი აზერბაიჯანელი. პოეტის — ნაზიმი განჯელის ძეგლი.

ძირითადი და ერთადერთი დარგი ნავთის მრეწველობა იყო. ჩვენს ქვეყანაში ფართოდ არის ცნობილი აზერბაიჯანელი მენავთობეების მიღწევები კასპიის ზღვის საბადოებისა და საწვავის მოპოვების დარგში. ზღვის ნავთსარეწების მშენებლობაში ჩვენი მენავთობეები პიონერ-ნოვატორები არიან, რადგან მსოფლიოში არსად არ ყოფილა ასეთი მშენებლობის გამოცდილება.

კასპიის ღია ზღვაში აუარებელი კოშკი მოჩანს, ზღვის სარეწები ნაპირიდან მრავალი კილომეტრის მანძილზეა გადაჭიმული. აზერბაიჯანში ზღვის საბადოებიდან ნავთობის ამოღება წლითიწლობით მატულობს. ბოლო წლებში რესპუბლიკაში შეიქმნა მძიმე მრეწველობის ახალი დიდი საწარმოები. ინდუსტრიულ ქალაქ სუმგაიტში აშენდა დიდი მილსაგლინავი ქარხანა. მცირე კავკასიონის მთებში გაიზარდა აზერბაიჯანელ მაღაროელთა ქალაქი დაშქესანი. თუ წინათ ერთადერთი ინდუსტრიული ქალაქი ბაქო იყო, ახლა მას მხარი სხვა ქალაქებმაც დაუმშვენეს, როგორიცაა: კიროვაბადი, ნახჭევანი, სტეპანაკერტი, ნუღა, ლენქორანი, ხაჩმასი და სხვ.

მინგეჩაურის ზღვა სარწყავი წყლით კვებავს უზარმაზარ სივრცეზე გადაჭიმულ აზერბაიჯანის ტრამალებს. მინგეჩაური წინათ რუკაზეც კი არ იყო აღნიშნული. იგი ერთ პატარა სოფელს წარმოადგენდა. ახლა მინგეჩაური ენერგეტიკოსთა ქალაქია. მშრომელებმა ბოლაზის მთასთან მტკვარს გზა გადაუღობეს, უზარმაზარი კაშხალი აღმართეს, მტკვარი ზღვად დააგუბეს და ამიერ-კავკასიის ყველაზე მძლავრი ჰიდროელექტროსადგური აამუშავებინეს. გვირაბის გაყვანაში აზერბაიჯანელებს ძმური ხელი გამოუწოდეს საქართველოს მშრომელებმა. მინგეჩაურის ელსადგური აზერბაიჯანის გარდა ჭარბ ელექტროენერგიას აძლევს მოძმე საქართველოს სახალხო მეურნეობასაც. მინგეჩაურის ზღვა რწყავს შირვანის ველსა და ყარაბაღის დაბლობს.

სილვა ნასიბოვა

პიონერთა ცენტრალურ სახლში

ბაქოს 78-ე სკოლის პიონერებმა მრავალი მეგობარი შეიძინეს მოძმე რესპუბლიკებიდან. აი, ინტერნაციონალური მეგობრობისადმი მიძღვნილი მათი სტენდი.

ბაქოს მეოთხე სკოლა-ინტერნატის გოგონებს ძალიან იზიდავთ ხელსაქმის წრე. რას არ ქარგავენ მათი მარჯვე ხელები!

ბაროობს მოხუცის გული, როცა ბედნიერი აზერბაიჯანის მომავალ თაობას უმზერს.

ვალი ალიევი

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

ქემალი

(მ ო თ ხ რ ო ბ ა)

როცა ქემალი სახლიდან გამოვიდა, უკვე ბინდბუნდი იყო. იგი ცხენს მოახტა და მთის მდინარისაკენ გაქუსლა. უეცრად რამდენიმე ცხენოსანს გადაეყარა. მხედრები სოფელ ჩოქადის ბეგები იყვნენ, მეზობელი სოფლიდან, — სალიმ ბეგის ვაჟის ქორწილიდან ბრუნდებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი—ასლან-ბეგი მრისხანე კაცი იყო. მაგრამ გლეხები მაინც არ ეპუებოდნენ.

— გვაკმარე ამდენი წვალება, ნამუსი არა გაქვს? გროშსაც არ გვაძლევ! ჩვენი სისხლის სმა გეყოფა! — გაჰყვიროდნენ ისინი და უარს ამბობდნენ სამუშაოზე.

ასლან-ბეგმა კარგად იცოდა, რომ ჩალაურთელი ყურბანი აგულიანებდა გლეხებს.

ქემალმა წასვლა დააპირა, მაგრამ ბეგებმა შეაჩერეს:

— საით მიხვალ, შვილო?

— მატარებელზე, — მიუგო ბიჭმა.

— მატარებელი პირველი მამლის ყივილის შემდეგ გადის. შენ კი ასე ადრიანად საით გაგიწევია?

ქემალი შეცბუნდა.

— ჯერ დეიდასთან უნდა შევიარო, — მოიფიქრა უცებ.

ქემალს არც კი ჰყავდა დეიდა. მთელი უბედურებაც ამაში იყო. თუ შეიტყობდნენ, ცუდად წავიდოდა მისი საქმე.

— ვინ ჩამოდის ქალაქიდან, შვილო? — ჰკითხა ასლან-ბეგმა.

ქემალმა არ უპასუხა.

— ეი, შენ გეკითხებიან! რას გაჩუმებულხარ!

ქემალი ისევ სდუმდა.

— მათრახი უთავაზეთ მაგ ძაღლიშვილს! — იყვირა რომელიღაც მხედარმა. — იქნებ ჭკუას ძალა დაატანოს.

— ნუ! — თქვა ერთმა ბეგმა, ბიჭს მიუახლოვდა და ყურადღებით შეათვალიერა, — ეს ჩალაურთელი ყურბანის ვაჟია...

ქემალს ბედმა უმუხთლა. მეამბოხე ყურბანის შვილი ამ უდროო დროს ბეგებს ვერ დაუსხლტებოდა ხელიდან.

ქემალს გაქცევა უნდოდა, მაგრამ არ გამოუვიდა. ბეგები მიუხხდნენ ჩანაფიქრს და ცხენიდან ჩამოსვეს. ჰასან-ბეგის მათრახმა გველივით გაისრიალა ჰაერში. ქემალს ნაპერწკლები წამოსცვივდა თვალებიდან და მოსხლეტით დაეცა.

— ჰასან-ბეგ, რას ერჩი ამ ბავშვს, მამამისი ჩემი მეგობარია. მე ვერ მოგითმენ, რომ ჩემი მეგობრის ვაჟს ასე მოექცე, — უთხრა ასლან-ბეგმა და ჰასან-ბეგს ბავშვი წაართვა.

ქემალს მამის გატანებული საიდუმლო ბარათი არ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიწყებია. „რომ გამჩხრიკონ და მიპოვნონ?“ — გაიფიქრა მან. ბეგები ერთმანეთში რაღაცას ლაპარაკობდნენ. ამ დროს ქემალმა დრო იხელთა, წინდის გასწორების საბაბით დაიხარა, ქალამნიდან წერილი ამოიღო და იქვე ბუჩქებში მიაგდო.

— ბავშვი ცხენზე შესვით! — თქვა ასლან-ბეგმა.

* * *

მხედრები სოფელ ჩოქადთან მივიდნენ. მსახურებმა შეიტყვეს თუ არა, ასლან-ბეგი მოვიდაო, ერთი ფაციფუცი აუტყდათ. ცხენები საჯინიბოში შეიყვანეს. ხოლო ქემალის წაბლა იქვე მიაბეს. ბეგები სასტუმრო ოთახში შევიდნენ. ხის ტახტი და კედლები ხალიჩებით იყო დაფარული. ოჯახის უფროსის სურათთან ხანჯალი და რევოლვერი ეკიდა.

— ასლან-ბეგ, შენი ძმისწული ფეხშიშველი რად არის? — ჰკითხა ჰასან-ბეგმა.

— აი, ქიში, რას ამბობთ, ეგ შეუძლებელია...

— შეხეთ ერთი, ეტყობა ღარიბად ცხოვრობს.

ასლან-ბეგი მეორე ოთახში გავიდა და ერთი წყვილი ფეხსაცმელი გამოუტანა.

— აჰა, შვილო, ჩაიცვი, სულ ახალთახალია.

ქემალმა უხმოდ ჩაიცვა წაღები. ასლან-ბეგის მსახურმა სელიმმა წაბლა ცხენი იცნო, მეორე მსახურთან მივიდა და უთხრა:

—ხალილ, ეი, ხალილ, ეს ცხენი ჩალაურთელ ყურბანისაა, — მერე უფრო ახლოს მივიდა ცხენთან და ხმადაბლა დაუმატა:

— ალაჰს გეფიცები, ეტყობა კიდევ რაღაც მოხდა... ბიჭის დარდი მაქვს.

— ვინ იცის, სელიმ...

— ჰო, ღმერთმანი, ეს ბიჭი მისი შვილია, მე კარგად ვიცი...

სასტუმრო ოთახიდან მთვრალი ბეგების ღრიანცელი ისმოდა:

— ჰასან-ბეგ, კიდევ ერთი დამისხი, ჩემი მეგობრის ვაჟს მივუტან. მამამისი კაი კაცია.

— მე ღვინოს არ ვსვამ, — უთხრა ქემალმა ხმის კანკალით.

— მაშ რას დალევ, ძმისწულო? — მერე ეშმაკურად დაუმატა,—რას მეტყვის მამაშენი, ასე მიიღეთ ჩემი შვილო?...

— მართალი მითხარი, შვილო, — შეეკითხა ისევ, — სად მიდიოდი, იქნება გაგვიანდება?

ქემალი ხმას არ იღებდა. იმ ქაღალდზე ფიქრობდა, რომელიც გადამალა და კიდევ იმაზე, თუ როგორ გაქცეოდა მათ.

— ეი, ბიჭო, ძია ასლანი გეკითხება, საით მიდიხარო? — ჰასან-ბეგის მძვინვარე ხმამ შეაწყვეტინა ფიქრი ქემალს.

— არსად, — უპასუხა ბიჭმა.

— იქნებ გეშინია მარტო წასვლა. თუ ასეა, ძია მსახურს გაგატანს.

— არა, არ მეშინია! ასეთი მშიშარა რომ ვიყო... — მან აღარ დაასრულა სათქმელი.

ჰასან-ბეგმა ულვაშები გადიგრიხა და ასლან-ბეგს თვალი ჩაუკრა.

ქემალი გაფითრებული იჯდა.

— ჩემო შვილო, ვინც გინდა აირჩიე და გამოგაყოლებ, — ეუბნებოდა ასლან-ბეგი, — მამის დავალება შეასრულე და სახლში დაბრუნდი.

— მამის დავალება?

— ჰო, მამისა!

— მამას არაფერი დაუვალებია.

— მაშ, ვინ დაგავალა?

— არავინ!

ისეთი ხმა გავარდა, თითქოს ისროლესო — ეს ასლან-ბეგმა გაარტყა ქემალს სახეში. ქემალს ყურები უშხუოდა სილებისაგან, მოცელილივით ეგდო ძირს. წამოდგომა სცადა, მაგრამ ვერ შესძლო. ბოლო დარტყმამ ხომ სულ ბოლო მოუღო.

— ეი, ბიჭებო, სადა ხართ? — ასლან-ბეგმა თავის მსახურებს მოუხმო. სელიმმა სასტუმროში შეიჭვრიტა და მორიდებით შესძახა:

— აქ გახლავართ, ბატონო!

— წაიყვანე და სარდაფში ჩააგდე: ჰამიდს უთხარი უყარაულოს.

— მესმის, ბატონო!

ასლან-ბეგი მეფე ნიკოლოზის ერთგული კაცი იყო. როგორც თვითონ ამბობდა, მეფის მარჯვენა ხელი იყო და მკერდზეც ნიკოლოზის ორდენი ეკიდა. ვინც კი მეფის წინააღმდეგ გამოვიდოდა, მზად იყო თავი წაეწყვიტა მისთვის. ასლან-ბეგს არა ერთხელ სმენია, თუ ყურბან-ქიში როგორ ამზადებდა გლეხებს მეფის წინააღმდეგ.

* * *

1907 წლის აპრილის პირველი რიცხვები იყო. გაზაფხულის ნიავი ნაზად ეალერსებოდა ახლად გამოღვიძებულ ბუნებას. სოფელ ჩალაურთში არსად არ ენთო სინათლე. სოფელში თითქოს აღარავინ იყო. მხოლოდ შავი კლდეების უბანში არ ეძინა ყურბან-ქიშის. იგი ოთახში ბოლთას სცემდა და თავისთვის ლაპარაკობდა:

— რატომ არ ჩანს ბავშვი? სად დაიკარგა? ვინ იცის რა შეემთხვა? მე თვითონ უნდა წავსულიყავი, ის კი არ უნდა გამეგზავნა.

ყურბან-ქიშის თავის სოფელში ყველა პატივს სცემდა. იგი მჭედელი იყო. მისი უფროსი ვაჟი მუსტაფა თბილისში სწავლობდა. მამა ხშირად ნახულობდა შვილს. იქ ყურბანი ჭკვიან ხალხს ხვდებოდა. თბილისში ერთ რკინიგზელს დაუმეგობრდა და, როცა ქალაქში ჩადიოდა, ბინად მასთან იყო ხოლმე. ბოლო ხანებში სულ ქალაქად იყო, იგი რკინიგზელთა რევოლუციურ მოძრაობაში იღებდა მონაწილეობას და ბრძოლაში დაიჭრა კიდეც.

...ყურბანი ტახტზე ჩამოჯდა. ხელები თავზე შემოიწყო და ჩაფიქრდა. „ალბათ დაიჭირეს ბავშვი, — ფიქრობდა იგი. — უსათუოდ რაღაც შეემთხვა. საინტერესოა, წერილი სად არის?“

— ეჰეი, მასპინძელო! — მოესმა ყურბან-ქიშის და ზეზე წამოხტა. ფანჯრიდან მხედრებს მოჰკრა თვალი და ეზოში გავიდა. ყურბან-ქიშის მოეჩვენა, რომ მისი ვაჟი ქემალი დაბრუნდა სტუმრებით. იგი მხედრებს მიუახლოვდა და იცნო ისინი. უკან გამობრუნება გვიანღა იყო. მოსულები ცხენებიდან ჩამოხდნენ და ყურბანს ხელფეხი შეუკრეს. პირში ხელსახოცი ჩასჩარეს, რომ არ ეყვირა და თან წაიყვანეს.

შუადღე იყო, როცა სოფელში ხმა გავარდა, ყურბან-ქიშის გვამი ზოღალის ხეობაში იპოვნესო.

სელიმმა ძლივს მოიყვანა გონს ქემალი. ძალიან ცუდად იყო ჭაბუკი. ხალათი შემოიხია და ჭრილობა შეუხვია. მერე სხეული მოუსინჯა, მთლად დაიარავებული ჰქონდა. როცა სელიმმა ქემალი ამ ყოფაში ნახა, ძველი ამბავი გაახსენდა. მოაგონდა, ასლან-ბეგმა როგორ მოუკლა ერთად-ერთი ძმა მურთუზი. ახლა უდანაშაულო ქემალი მოსვენილიყო სისხლში.

რიჟრაჟი იყო. სელიმი საჯინიბოსთან მივიდა, სადაც ქემალი იყო დამალული. მისი ცხენიც იქვე იყო მიბმული.

— შეჯექი სწრაფად, — უთხრა სელიმმა. — ძია ყურბანს უთხარი, სალეხის შვილმა სელიმმა დამიხსნა-თქო, ის კარგად მიცნობს.

ქემალმა შულავერს რომ მიაღწია, მხოლოდ მაშინ ინათა. ერთ ფართო ჭიმკართან შეჩერდა. მასპინძელი ეზოში გამოვიდა და სტუმარს ფართოდ გაუღო კარი. ქემალი ასეთ დღეში რომ დაინახა, მაშინვე ექიმი იხმო. გზაზე ქემალმა ბუჩქებში დამალული ქაღალდიც მოძებნა და თან წაიღო. ის წერილი ოჯახის უფროსს ფოლად ფოლადოვს გადასცა. ფოლად-ქიშიმ სასწრაფოდ სათვალე გაიკეთა და კითხვა დაიწყო:

— „ამხანაგო ფოლადოვ, ერთ სასიამოვნო ამბავს გაცნობებთ. მე სიხარულით დავტოვე ზოგიერთი საქმე და სოფელს დავუბრუნდი. საქმე მეტად სერიოზულია, არ დავბრუნებულიყავი, არ შემეძლო. თან ჩემი ავადმყოფობაც მოსვენებას არ მაძლევს. ჯანმრთელობის საქმე ცუდად მაქვს, თორემ თვითონ გეახლებოდით. ამას გარდა, კარგად მოგეხსენებათ, ჩალაურდში კაცი არ არის, რომ დაენდო. ისევ ქემალი მოდის დასახმარებლად. ჩემი წერილის მიზანი შემდეგია: ამ დღეებში პარტიის V ყრილობა შედგება. ჩვენმა ორგანიზაციამ ერთი კაცი უნდა გაგზავნოს დელეგატად. ჩვენ ამ დღეებში უნდა გადავწყვიტოთ და გავგზავნოთ. მაცნობე ამის შესახებ. ჩვენ იმავე ადგილას და იმავე დროს შევხვდებით.

პატივისცემით თქვენი ყურბანი“.

ფოლადოვმა არ იცოდა რა ექნა სიხარულით. მივიდა და ქემალს გადაეხვია. მალე ექიმიც მოვიდა. ექიმმა ქემალს წამალი მისცა, მერე ასაუზმეს და მოასვენეს. როცა დამარტოვდნენ, ქემალმა ყველაფერი უამბო მასპინძელს.

— მადლობელი ვარ, ქემალ. დღეიდან ჩემი მეგობრის შვილი კი არა, თვით მეგობარი ხარ ჩემი, — უთხრა ფოლადოვმა და თავზე გადაუსვა ხელი.

ქემალი იწვა და ფიქრობდა მამაზე, რომელიც ბევრჯერ დაუძვრა ხელიდან ბეგებს; იგონებდა კეთილ სელიმს და თვალებში სიხარული ედგა. ფოლადოვი კი თავთან უჯდა და ფიქრობდა:

— „მამასავით უშიშარი იქნება!“

აზერბაიჯანულიდან თარგმნა **ლეილა ერაძემ**

ახალგაზრდა აზერბაიჯანი

ჰიქმეთ ეფენდიევი

მოდის ჩემი მამულის
დიდი დღესასწაული,
იფურჩქნება ვარდები
აზერბაიჯანული.
მისდევს ქუჩებს მდინარედ
ხალხი სვებედნიერი,
ყველა—სახემცინარე,
ყველგან—ლაღი იერი!
რარიგ დაუფერია
მზეს მთები და ველები!
რა საამოდ მღერიან
ნორჩი პიონერები!
ლაჟვარდებსაც სწვევია
ხმები საკრავებისა...
მეორმოცე წელია,
რაც სინათლე გვეღირსა.
მარად დაუჭკნობელი
ჰყვავის ჩვენი მამული,
ჰყვავის მიწა მშობელი—
აზერბაიჯანული!

თარგმნა **ს. შამფრიანმა**

„როცა ვიყავ ახალგაზრდა“

„როცა ვიყავ ახალგაზრდა...“ — თქვა ვახტანგ ჭაბუკიანმა და ფიქრით წარსულ დღეებს გადახედა. საქვეყნოდ განთქმული მოცეკვავე იხსენებდა ბავშვობისა და ჭაბუკობის წლებს, როდესაც იგი სწავლობდა და შრომობდა იმისათვის, რომ საყვარელ ხელოვნებას დაუფლებოდა. მწერალი ალ. ბურთიკაშვილი ყურადღებით უსმენდა ამ მოგონებას. მან გადაწყვიტა დაეწერა წიგნი ვახტანგ ჭაბუკიანზე, მის ცხოვრებაზე, მოღვაწეობაზე... „ცეკვის ჯადოქარი“ — ასე უწოდა ჭაბუკიანს აღტაცებულმა მაყურებელმა. ასეთი სათაური მიხცა ალ. ბურთიკაშვილმაც თავის წიგნს.

ვბეჭდავთ რამდენიმე ნაწყვეტს წიგნიდან „ცეკვის ჯადოქარი“.

ცეკვის ჯადოქარი

ლი — აი მისი პორტრეტი. გათხოვებამდე მხიარულს სიცოცხლით სავსეს უყვარდა სიმღერა და განსაკუთრებით ცეკვა. მშობლიური მაზურკა, პოლონეზი და კრაკოვიაკი მისი სტიქია იყო. ქორფა ბავშვების დედას სადღა

წვრილშვილის პატრონი მიხეილ ჭაბუკიანი თავისი ხელობით იმდენს ძლივს შოულობდა, რომ ბავშვებისათვის ჩაეცმია, გამოეკვება და სტუმართანაც პირნათლად გამოსულიყო... პატიოსანი შრომა, მიცემული სიტყვის შესრულება, პირგაუტეხლობა, ამხანაგის გატანა — აი ხელოსნის ყველა მცნება. მიხეილს კარგად ახსოვდა ხელოსანთა დალოცვის ტექსტიდან შემდეგი:

„და შენც, შეგირდო ჩვენი ხელობისა, ახლა, როცა გაგვიხდი ამხანაგად, ნუ დაზოგავ შენს ჯანსა და ღონეს, რომ ნამუსიანი შრომით თავი ირჩინო. არამც და არამც არ იარო მრუდე გზით. იყავ გულმართალი და პატიოსანი. ეცადე შენი შვილებიც ამ გზით წარმართო“.

ახსოვდა მიხეილს ეს მცნება და პირნათლად ასრულებდა მას.

ხოლო ვახტანგის დედა რომ მთელი უბნის თვალი იყო, ახლაც გაიგონებთ ხანშიშესულ ფიქრისგორელებისაგან. ფაქიზი, ოჯახის ერთგული, შვილებისათვის თავდადებული — აი მისი პორტრეტი. გათხოვებამდე მხიარულს სიცოცხლით სავსეს უყვარდა სიმღერა და განსაკუთრებით ცეკვა. მშობლიური მაზურკა, პოლონეზი და კრაკოვიაკი მისი სტიქია იყო. ქორფა ბავშვების დედას სადღა ეცალა გართობისათვის. მე ვიცი, ძიძები და შინამოსამსახურენი დაქროდნენ ჭაბუკიანების სრა-სასახლეში — ორ პატარა ოთახში შეკუნჭულიყო ცხრა სული.

აგერ კოსტია ცხვირპირჩამომტვრეული მობრძანდა შინ ღრიალით. უბნის ჩხუბისთავია. ბევრ ბიჭს ატირებს და ხშირად იმასაც ლაზათიანად მიბერტყავენ ხოლმე. ვინ უნდა მობანოს ონავარ ბიჭს სახე და დაამშვიდოს, თუ არა დედამ? აგერ მარიამს კაბა ჩამოფხრეწია. დედამ თუ არ დაუკერა, ხვალ დილით სკოლაში როგორ წავა — რას იტყვიან მასწავლებლები? ელენე და თამარი წაიკიდნენ, ისევ დედამ უნდა დააწყნაროს, დაუყვავოს, დატუქსოს. ლენა ხომ უფროსია თამარზე და უნდა დაუთმოს.

სიზმარივით გაირბინა დრომ. ვახტანგი უკვე ხუთი წლისაა. მეტისმეტად ცელქია, მთელ დღეს დარბის, ციბრუტივით ტრიალებს. ტყუილად კი არ შეარქვეს მახლობლებმა ბზრიალა. ხშირად სახლიდან იპარება, ვარაზის ხევში ჩადის და მდინარე ვერაში ჭყუმპალაობს. დედა მოკლებულია საშუალებას ვახტანგს წამდაუწუმ კუდში სდიოს, მერვე ჩვილი ბავშვის მოვლა ამის საშუალებას არ იძლევა.

ერთხელ ვახტანგი ისე აცოცდა ზედა სართულზე, რომ ვერავინ შეამჩნია. და უცბად კიბიდან შურდულივით წამოვიდა ეზოსაკენ... სამი თვის განმავლობაში დალეწილ-დაბეგვილი ბიჭი სარეცელს იყო მიკრული. გადარჩა. მკურნალობა არ მოაკლეს და ფეხზე დააყენეს. წამოდგა თუ არა ვახტანგი, დაივიწყა დაზიანება, კვლავ ვარაზის ხევში დარბოდა, მდინარე ვერაზე.

მარტო მდინარე ვერაში ბანაობას არ სჯერდებოდა ვახტანგი. უფროსი დები სულ კუდში დასდევდნენ, მტკვარზე არ გაგვეპაროს და არ დაგვეხრჩოსო. უბნელ ბიჭებს ბანაობა მობეზრდებოდათ, ლახტის თამაშს იწყებდნენ და ერთმანეთს კანჭებს უხურებდნენ; ლახტს ათურმა მოჰყვებოდა, და სალაობა, მაგრამ ყველაზე ძალიან გავრცელებული იყო ომობანას თამაში. ამ პერიოდში პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი ახალი დამთავრებული იყო და ქალაქის ყველა ქუჩაზე შეხვდებოდით გიორგის ჯვრითა და სხვა მედლებით დაჯილდოებულ, დაჭრილ, დასახიჩრებულ, ყავარჯნიან მეომრებს. ბავშვები ხომ მიმბაძველები არიან და ომობანას თამაში ყველა უბანში იყო გავრცელებული. სხვებს არც ფიქრისგორელები ჩამორჩებოდნენ.

ხშირად ეს თამაში ისეთ მწვავე ხასიათს იღებდა, რომ ერთი ქუჩის ბავშვები მეორე ქუჩისას თავს ესხმოდნენ. შეტაკებისას ლაფში ამოსვრა და კვნესა-ტირილი ჩვეულებრივი ამბავი იყო.

ფიქრისგორელების ამ ლაშქრობებს აყლაყუდა და შედარებით მოზრდილი 12-13 წლის გერმანელი ბიჭი — გროსი მეთაურობდა. ერთ დღეს დილაადრიან ფიქრის

პირველი საჯარო გამოსვლა. 1926 წ.

გორაზე ლაშქარი დაეწყო. გროსმა ჩამოუარა ყველას და ოპერაციის გეგმა გააცნო. სარდალი მოშორებით გორაკზე ჩამოჯდა, ხელში ადამისდროინდელი დამტვრეული და უშუშო დურბინდი დაიჭირა, თვალთან მიიდო და ჯარის განლაგება დაათვალიერა. გროსმა ნიშანი მისცა. ლაშქარი დაიძრა ანანურის ქუჩის მიმართულებით. რაზმს მეთაურობს ხნოვანებით ყველაზე პატარა, ჩხირივით გამხდარი, კურკა ტანის ვახტანგი. მერე რა ვუყოთ, დიდი ტანის არც ერეკლე მეფე ყოფილა! მაგრამ დახეთ, მტერი მედგრად დახვდა და ვახტანგის რაზმს უკან დაახევინა. რაზმის მეთაური პირველი გამორბის. ბრძოლა თითქმის არ გაუმართავს, ისე იხევს უწესრიგოდ ლაშქარი. აგერ, ფასანაურის ქუჩის ბიჭებმა ვახტანგის ჯარი კლდიაშვილის სახლამდე მირეკეს. იქვე მახლობლად კარგა მოზრდილი გამოქვაბულია. დახეთ მტრის მოსაზრებას — გამოქვაბულისაკენ მიერეკებიან ვახტანგის რაზმელებს. გროსი გაკვირვებულია. როგორ მოტყუვდა, რაზმის უფროსობა კურკა ბიჭს რომ ჩააბარა. აგერ გამოქვაბულთან მივიდა ჯარი...

და უცბად, შეჰყვირა ვახტანგმა: „აბა, ბიჭებო! ალყა შემოარტყით!“ მართლაც ბიჭები შემოეხვივნენ ფასანაურელებს, მტერი მთლიანად გამოქვაბულში შერეკეს და ტყვედ ჩაიგდეს.

გროსი აღტაცებულია ვახტანგის სტრატეგიული ნიჭით, იქვე მთელი ლაშქრის თანდასწრებით, თუნუქის ჯვარს დაჰკიდებს ვახტანგს გულზე და გამარჯვებას მიულოცავს.

ეს ჯვარი, სიცილით იგონებს ვახტანგი, მთელი კვირა მეკეთა და ყოჩივით დავდიოდი ბიჭებში. ფასანაურის ქუჩის ბიჭებმა მიმტრეს და ბანაობის დროს ნაწვიმარ, ადიდებულ მდინარე ვერაში გადაისროლეს ხალათიანად ის ჯვარიო.

...თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წესდების მიხედვით, დაგირავებული მამულის სესხის პროცენტი მოვალეს წელიწადში ორჯერ უნდა გადაეხადა: სარგებლობის პირველი ნაწილი 30 ივნისამდე, ხოლო დანარჩენი 31 დეკემბრამდე. მიხეილს თავისი პატარა სახლი დაგირავებული ჰქონდა. სახლის ვალი 18 ათას მანეთს შეადგენდა. ამ თანხის გადახდა, ოღონ როდი იყო დღიურად მომუშავე დურგლისათვის.

საჯარო ვაჭრობით მიხეილის სახლი გაიყიდა. ჭაბუკიანების ფიქრის გორადან გასახლება — ეს იყო უბნის გლოვა. მეზობლები ისე იმდუღრებოდნენ, გეგონებოდათ ვინმე მახლობელი დაკარგესო. არა, ისინი არ დაუკარგავთ, იქვე, ანანურის ქუჩაზე, ერთ პატარა ბინაში დასახლდა მიხეილი თავის ცოლ-შვილით.

მიხეილი ფიქრის გორას აღარ ეკარება. როგორღაც ეძნელება გვერდზე ჩაუაროს იმ სახლს, რომლის მშენებლობაზეც დიდი ოფლი დაღვარა. ყოველი ჩარჩო, ყოველი ფიცარი მისი გარანდულია და გაკეთებული, თითოეული აგური მისთვის ნაცნობია. ამიტომ კვირაობით შეკრებილობაზე მიხეილს ვეღარ ნახავთ. ის ამ დროს ბაზართან არის ატუზული, ყურზე ხან არშინი, ხან ფანქარი აქვს გაკეთებული — ეს ხომ დურგლების ფორმაა, მათი რეკლამა მუშტრებისათვის. ეძებს სამუშაოს მიხეილი, ხან შოულობს, ხშირად ცარიელი ბრუნდება შინ. ვახტანგი? იმასაც თამაშობის ცხრილი აერია, მხოლოდ კვირა აქვს, ერთი დღე, როცა შეუძლია იბანაოს თავის საყვარელ მდინარეში, ითამაშოს ბიჭებთან ათურმა, ლახტი, ომობანა. ახლა ვახტანგი ვერის მესამე დაწყებითი სკოლის მოწაფეა და ამავე დროს შევალიეს სახელოსნოს შეგირდი. გაჭირვებამ რვა-ცხრა წლის ბიჭი საშოვარზე გაიყვანა.

შევალიე პირველი იყო, რომელმაც პატარა ბიჭუნას არაჩვეულებრივი ნიჭიერება დაინახა და შეეცადა მისი განვითარებისათვის ხელი შეეწყო. მარიამ ლეონიდეს ასული შევალიე შვილი იყო თბილისში სახელგანთქმულ ფრანგი იურისტის ლეონიდ იოსების ძე შევალიესი. ხალხსნური იდეებით გატაცებულმა მარიამ შევალიემ ტერგუკასოვის ქუჩაზე (ამჟამად გურამიშვილის ქუჩა) სუსანა მიხეილის ასულ ხითაროვასთან ერთად, გახსნა ქალაქის ღარიბი მოსახლეობის შვილებისათვის სახელოსნო. შეგირდებს მუქთად ასწავლიდნენ, და პირიქით, შესრულებულ სამუშაოში გასამრჯელოს აძლევდნენ. პატარა ვახტანგი თავისმა დამ ლენამ მიიყვანა შევალიესთან. თამარიც შევალიეს სახელოსნოში მუშაობდა. შეგირდები სწავლობდნენ კალათების დაწვნას. პაპი მაშედან კოლოფებს აკეთებდნენ, დიქტისაგან ბეწვახერხით ფიგურებს სჭრიდნენ და სხვა. პატარა ბიჭუნამ შევალიეზე თავიდანვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პირველსავე კვირას ისე ოსტატურად ამოჭრა ბეწვახერხით ფირფიცრიდან სათამაშო, რომ მთელი სახელოსნოს აღტაცება გამოიწვია...

ვახტანგის ერთ-ერთი ნამუშევარი მარიამ ლეონიდის ასულს დღესაც აქვს შემონახული. მოხუცი ამ ნივთს ისე უფრთხილდება, როგორც ძვირფას რელიქვიას.

თავისი მიხვედრილობით, თავაზიანობით, ზრდილობით ვახტანგმა მალე მთელი სახელოსნოს ყურადღება მიიპყრო. გამოცდილ პედაგოგს — შევალიე ამავე დროს ვერის მესამე დაწყებითი სკოლის მასწავლებელი იყო — ერთი რამ აკვირვებს: ეს წყნარი ბავშვი დიდ ხანს ერთ ადგილზე ვერ ისვენებს, ვერ ჩერდება და, როცა კი დროს მოიხელთებს, ციბრუტივით ტრიალებს, ცეკვავს. ატყობს შევალიე, რომ ეს მოცუცქნული, ყვითელი და ჩხირივით კანჭებიანი ბიჭუნა ცეკვისათვის არის გაჩენილი, ცეკვით არის შეპყრობილი. არა, ნიჭს გასაქანი უნდა მიეცეს. მაგრამ როგორ? — ფიქრობდა კეთილი შევალიე, და გაიხსენა თავისი პირადი მეგობარი, თბილისში ერთადერთი კერძო ქორეოგრაფიული სტუდიის ხელმძღვანელი მარიამ იოსების ასული პერინი.

ეროვნული ცეკვებით მდიდარი საქართველო არც უცხოურს გაურბოდა და მოდას საკმაო ხარკს უხდიდა.

თბილისში გამრავლდა სამეჯლისო ცეკვის კურსები. ევროპული ცეკვების სწავლება სკოლებშიც შემოიღეს. ასეთი კურსები მრავლად იყო თბილისში. ისინი მიზნად ისახავდნენ ამ ცეკვების შაბლონურ სწავლებას. ეს კურსები და სკოლები ქორეოგრაფიულ ხელოვნებასთან ძლიერ დაშორებული იყვნენ. ამ მხრივ მარიამ პერინის ქორეოგრაფიული სტუდია უკვე სერიოზულ წამოწყებად ითვლებოდა. თვითონ პერინი ბალეტის სახელგანთქმული მოცეკვავე იყო და ჩვენი ოპერის სცენაზე, სადაც ის მოწვეული იქნა 1890 წელს, დიდი წარმატებით სარგებლობდა. აი, ამ პერინის სტუდიაში განიზრახავს ვახტანგ ჭაბუკიანის მოწყობას შევალიე.

პირდაპირ რომ წაიყვანოს ბავშვი, არ მოხერხდება. ვახტანგი მეტისმეტად მორცხვია და შეიძლება ვერ გაბედოს. სხვა გზას მიმართა. წინასწარ გააფრთხილა პერინი, როცა სახელოსნოდან პატარა ბიჭუნა მოვა, დაიტოვეთ და ცეკვები აჩვენეთო.

ერთ დღეს შევალიემ დაავალა ვახტანგს, როგორც შეგირდს, წაიღო საბალეტო სტუდიაში, რომელიც გრიბოედოვის ქუჩაზე იყო მოთავსებული, სათამაშოები ნაძვის ხისთვის. ვახტანგმა დავალება შეასრულა და დანიშნულებისამებრ სათამაშოები მიიტანა. ბავშვს მოუალერსეს და ნება მისცეს დარჩენილიყო და ენახა ცეკვები. ბიჭუნა ისე მოიხიბლა, რომ თვითონვე დაუწყო შევალიეს ხვეწნა, — მომაწყეთ სტუდიაშიო. შევალიესაც ეს უნდოდა. მალე ვახტანგი პერინის სტუდიის მოწაფე გახდა და ამავე დროს შევალიეს სახელოსნოშიც განაგრძობდა მუშაობას.

სტუდიაში მისვლისთანავე ვახტანგს უსიამოვნება შეხვდა: გოგონებმა უარი განაცხადეს წყვილად ცეკვისას პარტნიორად ყოლოდათ მოცუცქნული კავალერი. პერინიმ აიძულა გოგოები ეცეკვათ ვახტანგთან და საქმე ამით დამთავრდა. მალე პირიქით, ყველა გოგონას უნდოდა ასეთი დახელოვნებული პარტნიორი ჰყოლოდა. მაგრამ ვახტანგს კარგად დაამახსოვრდა გოგონების პროტესტი და გადაწყვიტა ტანი აეყარა. ვიღაცისაგან შეიტყო, — ადამიანი ყოველდღე ძელზე თუ იქნება დაკიდებული, ტანი გაიწევს და ამაღლდებაო. ჩაიდო რა ეს გონებაში ვახტანგმა, როცა კი მოიცლიდა, ძელზე იყო დაკიდებული. ამ მხრივ მისი მოთმინება პირდაპირ საკვირველი იყო. მთელი წლის განმავლობაში ის ძელს არ მოშორებია. სიცილით მიამბობდა მოხუცი შევალიე:

— თითქმის ყოველდღე მეკითხებოდა ვახტანგი: დეიდა მარიამ, მემატება თუ არა ტანი, გავხდები თუ არა კარგი მოცეკვავეო. და მეც სიცილით ვეუბნებოდი:

— უკვე გაზრდილხარ, შენ ნამდვილი მარიუს პეტიპა იქნები.

ათადან ბაბადან დასვენებისათვის კვირაა დაწესებული და ვახტანგიც მოუთმენლად მოელის ამ დღეს. კვირა დღე კი ბანაობით იწყება. ბანაობას მოყვება ლახტი, მერე ათურმა, სალაობა. მართალია, ფიქრის გორაზე აღარ ცხოვრობს ვახტანგი, მაგრამ ანანურის შესახვევიდან ფიქრის გორამდე, სულ ბევრი, ხუთას-ექვსასი მეტრი იყო და მერე ეს მანძილი რა არის ბიჭისათვის? ვახტანგიც ყოველ კვირას ფიქრისგორელებთან არის.

... აგერ ახალგაზრდობამ წრე შეკრა, ვიღაცამ საცეკვაო წამოიწყო. თუ პატარებმა არ წაახალისეს მოზრდილნი, ისე ცეკვის დაწყება უჭირთ.

— ტაში, ტაში, ბიჭებო! — გაისმის შეძახილები და ვახტანგიც ციბრუტივით ტრიალებს. პატარა ბიჭის ოსტატობით ყველა მოხიბლულია. ფეხის გასმაში ზოგი ყარანგოზაშვილს ადარებს, ბევრი გოგინო ბაგრატიონს. არიან ისეთებიც, რომლებიც სახელგანთქმულ რეზო ყარალაშვილის შემცვლელად თვლიან.

სიმღერა გაისმის, ტაში გრიალებს. ვახტანგი ცეკავს და ამ დროს ანანურის შესახვევის მეექვსე ნომერ სახლში სახლის მეპატრონე ვაჭარ „ამურასაგან“ შევიწროებული მიხეილი და ელენე ჭაბუკიანები თავიანთ ფალასფულასს მაფრაშაში ალაგებენ და მორიგი გადასახლებისათვის ემზადებიან. და მერე უპატრონოდ მიტოვებულ ქოხიდან მოუხდება ყოველდღე სიარული სასწავლებელში, შევალიეს სახელოსნოსა და პერინის სტუდიაში.

მშვიდობით ფიქრის გორავ, მშვიდობით უდარდელო ბავშვობავ!

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ალ. ბურთიკაშვილი



საკონცერტო ნომერი

ჭორმეშავის გამოქვაბულში

გასულ შემოდგომაზე ისტორიის შემსწავლელი წრის წევრებმა გადავწყვიტეთ დაგვეთვალიერებინა ჭორმეშავის გამოქვაბული. და აი, ერთ კვირა დღეს, ისტორიის მასწავლებლის ხელმძღვანელობით გზას გავუდექით. ავყევით არაგვის ნაპირებს, გავიარეთ რამდენიმე კილომეტრი; მოვუხვიეთ მარჯვნივ და მალე გამოქვაბულის შესავალთან აღმოვჩნდით.

გამოქვაბულში პირველად მასწავლებელი შევიდა, მერე ჩვენც შევყევით, 50 მეტრი მუხლებზე ხოხვით გავიარეთ და ერთ დიდ დარბაზს მივადექით, რომელშიც 300 კაცი მოთავსდებოდა. ავანთეთ ჯიბის ფარნები და დავიწყეთ გამოქვაბულის დათვალიერება. ერთ კუთხეში დაჟანგული ხმალი ვიპოვეთ. ვინ იცის, რამდენი წელიწადი ეგდო აქ ეს ხმალი, რომელსაც ერთ დროს მისი პატრონი ალბათ დღეში სამჯერ პოხავდა დუმით.

როცა უკან დავბრუნდით, ხმალიც თან წამოვიღეთ; შემდეგში გავიგეთ, თუ საიდან გაჩნდა ხმალი ამ გამოქვაბულში. აი, რას ამბობს თქმულება:

ერთხელ, როცა ხევსურეთს მტრის დიდი ლაშქარი შემოსევია, ხევსურების ერთ ნაწილს ჭორმეშავის გამოქვაბულისათვის შეუფარებია თავი. მომხვდურთა ბელადს შეუტყვია ეს და თავის ჯარით გამოქვაბულის შესასვლელთან დაბანაკებულა. ერთ ხანს უცდია თურმე, იქნებ გარეთ გამოვიდნენ შიგ შეხიზნულნიო, მაგრამ, რაკი არავინ გამოსულა, გამოქვაბულისთვის ცეცხლი შეუნთია. ბოლისაგან შეწუხებულ ხევსურებს გარეთ გამოსვლა დაუწყიათ. კართან ჩასაფრებული მტერი კი გამოსულებს სათითაოდ ხმლით ჰკაფავდა თურმე. შეხიზნულებში ერია განთქმული ვაჟკაცი ჩალხია გოგოჭური. წამოუვლია ხელი შუბისათვის, უძგერებია იგი მომხვდურთა ბელადისათვის და კლდიდან გადაუჩეხნია, ამის შემდეგ ხევსურებს გზა გახსნიათ. გამოცვენილან გარეთ და ამოუწყვეტიათ თავდამსხმელები.

ბათირა არაბული,
ბარისახოს სკოლა-ინტერნატის
მე-8 კლასის მოსწავლე.

ცუგო „ბემბი“

ბემბი, ბემბი,
ძლიერ გეხვეწები:
როცა შენთან მოვალ,
ნულარ იყეფები,
თორემ, ჩემო ბემბი,
შიშისაგან ვკვდები.

ნამდვილი ოქტომბრელი

მოხუცებულ ბებიას
მე დავუთმე ადგილი,
მითხრა: ყოჩაღ, ყოფილხარ
ოქტომბრელი ნამდვილი!

თვითონ გამოვძერწე

მარწყვი, ბალი,
ვაშლი, მსხალი,
კომში, ლეღვი,
წაბლი, თხილი,
ყველაფერი მე თვითონვე
გამოვძერწე პლასტილინით.

ამიკრძალეს თამაში

დამიმალეს თოჯინა,
ამიკრძალეს თამაში,
სკოლაში დადიხარ და
ხელს გიშლისო სწავლაში.

საქმიანი დეიდა

ჩემს მეზობელ დეიდას
საქმე უყვარს ძალიან,
წუთით არ გაჩერდება,
რა კეთილი ქალია:
შეგვიკერა კაბები,
თავისთვის არ სცალია.

დედიკო მთხოვს

რადგან ძალიან თოვს,
რადგან მივდივარ შორს,
რადგან დედიკო მთხოვს:
ჩავიცვამ თბილ პალტოს.

ქეთინო თავართქილაძე,
თბილისის 39-ე სკოლის 1-ლი კლასის
მოსწავლე.

ბოლოქუდა

მშიშარა ფოთოლა

დადგა სანატრელი გაზაფხული. ყველა ხე გაიკვირტა, ყველამ გამოიბა ფოთოლი. აი, თუთის ხემაც ააშრიალა თავისი მწვანე ფარჩა. ყველა ფოთოლი ცეკვავს, მაგრამ ერთი ფოთოლი საცოდავად მოკუმშულა და ტირილით ამბობს:

— ეს რა შრიალია? მეშინია, მეშინია!

— ნუ გეშინია, შეხე, როგორ ვარჯიშობენ შენი დები და ძმები!—ეუბნება მას დედა-ხე.

და მართლაც, ფოთლები ტკაცუნით იშლებიან და იკუმშებიან.

— ეს რაღა არის?—ყვირის მშიშარა.

— მზის სხივია. გაიშალე ფოთოლა, ნუ იკუმშები!—ეეედრება დედა მშიშარა ფოთოლას, რომელიც, რაც ძალი და ღონე აქვს, იკუმშება და იკუმშება.

და ამიტომაც პატარა, მოკუმშულ ფოთოლში ერთ მშვენიერ დღეს კარგა მოზრდილი ობობა შესახლდა. იგი მაშინვე შეუდგა მოხერხებული ხაფანგის ქსოვას და მალე ამოავსო ფოთოლას შესასვლელი. მიეკარებოდა თუ არა ქსელს რომელიმე მწერი, გახარებული ობობა ულვაშების ცმაცუნით მოიგდებდა კლანჭებში მსხვერპლს და წუწნას დაუწყებდა.

უჰაეროდ დარჩენილი ფოთოლი კი ყვითლდებოდა და ყვითლდებოდა.

ფოთოლას ყოველდღე ესმოდა ყაჩაღის კლანჭებში მოქცეული მწერების კვნესა და ისედაც მშიშარას უარესად ეგუბებოდა სული.

— დედიკო, მიშველე, ვკვდები, ვეღარ ვსუნთქავ...—ეეედრებოდა იგი ხეს. დედას უნდოდა ეშველა მშიშარა შვილისათვის, იგი მძლავრად აქნევდა რტოებს, მაგრამ პატარა ფოთოლას არაფერი შველოდა.

ერთ დღეს, როცა პატარა ფოთოლა უჰაერობისაგან კვნესოდა და ტიროდა, მასთან გოგონებმა მიირბინეს, გასინჯეს თუთის ხე და შესძახეს:

— შეხე, როგორ მოკუმშულა ერთი ფოთოლი. ობობაც კი შესახლებულა შიგ!

— ჩქარა, ჩქარა დაუძახე თემურს!—უთხრა ერთმა მეორეს.

გოგონა გაიქცა და ცოტა ხნის შემდეგ ბიჭუნასთან ერთად მოირბინა ხესთან. პატარებმა ფოთოლას მოაცალეს ქსელი და ობობაც გამოაბრძანეს გარეთ.

ბიჭუნამ წამალი შეასხა ფოთოლას.

ობობას ტყვეობიდან გათავისუფლებულმა ფოთოლამ შვებით ამოისუნთქა, გაიშალა და იმ წამსვე ვარჯიში დაიწყო.

— დედიკო, დედიკო, შეხედე, როგორ ვვარჯიშობ! მე დღეიდან არაფრის აღარ შემეშინდება, ყველაფერს დაგიჯერებ!—ხმამაღლა გაიძახოდა იგი.

მართლაც, ფოთოლა ყოველ დილით მხიარულად ეთამაშებოდა მზის სხივებს.

ქეთინო აბრამიშვილი,

თბილისის 58-ე სკოლის მე-3 კლასის მოსწავლე.

ინფორმაციული თამაში

განუყრელი „მტერნი“

ჩვენს გარშემო ცოტა როდია ისეთი საგნები, რომლებიც ურთიერთისაგან გახუშორებლად არსებობენ, ერთმანეთისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ. ასეთებია, მაგალითად, კალამი და მელანი, ნებსი და ბაფი... მაგრამ არის საგნების სხვა წყვილიც—ურთიერთსაწინააღმდეგო დანიშნულების მქონე საგნებისაგან შედგენილი. ეს წყვილია ფანქარი და საშლელი. ალბათ ბევრს ჰგონია, რომ ეს წყვილი მუდამ ერთად არსებობდა. სინამდვილეში კი საშლელთან შედარებით ფანქარი „ღრმა მოხუცია“.

შუა საუკუნეებში ფანქრის მოვალეობას ასრულებდა ტყვიის ჩხირი, რომელიც ქაღალდზე მქრქალ, ნაცრისფერ კვალს ტოვებდა. ტყვიას ხანდახან კალასაც ურევდნენ. წერდნენ აგრეთვე ვერცხლის წვრილი, გაკრიალებული მავთულის ნაჭერითაც. მას ტყავის ბუდეში ათავსებდნენ ან ლითონის სახელურთან შეადუღებდნენ ხოლმე. ლეონარდო და ვინჩი, მაგალითად, ვერცხლით ხატავდა. არის ცნობები, რომ სახატავად ზოგჯერ ოქროსაც იყენებდნენ.

თანამედროვე ფანქრების მსგავსი, გრაფიტის პირველი ფანქრები მე-16 საუკუნეში იქნა დამზადებული. გრაფიტს ხერხავდნენ, აკრიალებდნენ, თლიდნენ ჩხირებად და მათ ლერწმის ან ხის ღერებში ათავსებდნენ. გრაფიტის ფანქარი კარგად წერდა, მაგრამ ძვირი ღირდა, თანაც მალე ტყდებოდა. იმისათვის, რომ მისი ღერო უფრო მაგარი ყოფილიყო, მე-18 საუკუნეში გრაფიტთან თიხის შერევა დაიწყეს.

დიდი ხნის განმავლობაში ფანქარი საშლელის გარეშე არსებობდა. მას თეთრი პურის გული ან მჭადა ქვა ცვლიდა. პერგამენტიდან კი ფანქრით ნაწერს დანით ფხეკდნენ. საშლელი 200 წლის წინათ, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, როცა სამხრეთ ამერიკიდან ევროპაში კაუჩუკის ნიმუშები იქნა შემოტანილი. აღმოჩნდა, რომ კაუჩუკი ფანქრის წასაშლელად შეიძლებოდა გამოეყენებინათ. და მას პირველ ხანებში მართლაც მხოლოდ ამ მიზნით იყენებდნენ. პირველად სუფთა კაუჩუკის ნაჭრებს ხმარობდნენ, შემდეგ კი კაუჩუკის დამუშავება დაიწყეს და მისგან რეზინი მიიღეს.

რეზინის გამოჩენისთანავე ფანქარმა საშლელის სახით მუდმივი თანამგზავრი იპოვა. ზოგჯერ ორივეს ერთად ამზადებენ კიდეც: ფანქრის ზემო ბოლოზე ლითონის რკალში რეზინია მოთავსებული—წერე, ჰხატე, ხოლო თუ დაგჭირდეს, შეაბრუნე ფანქარი და წაშალეო.

პაპა გიგო

კ. გოგიაშვილი

ნახ. ჯ. ლოლუასი

პიესა 2 მოქ. და 5 სურ.

მოქმედნი:

1. კოტე
2. ვანო — პიონერები ბანაკიდან.
3. პაპა გიგო — კოლმეურნეობის მებაღე.
4. ზურიკო — სოფლელი პიონერი, ვანოს მეგობარი.

სურათი პირველი

სცენა წარმოადგენს პიონერთა ბანაკის ეზოს. საქანელაზე ქანაობენ კოტე და ვანო. მღერიან. საღამოა. ეზოს სიღრმეში მოჩანს ანძა ვარსკვლავით.

კოტე და ვანო:

მაღლა ადის, ჩადის ნელა,
რა კარგია საქანელა.
შორს სივრცეში დინჯად, რხევით,
ალმა-დალმა, ზევით-ქვევით,
რა ლამაზად, ნელა, ნელა,
გვაქანავებს საქანელა, ჰეი!

კოტე — იფ, შენი გულისა, რა კარგია!

ვანო — პირველად რომ გეშინოდა?

კოტე — ეე, რას ამბობს, მე მეშინოდა?

ვანო — ვითომ არა?

კოტე—მშიშარა შენა ხარ... ძალით არ წაგიყვანე მდინარეზე საცურაოდ?

ვანო — იმიტომ, რომ გაპარვა არ მინდოდა.

კოტე — ხომ ნახე, რა ცურვაც ვიცი, შენ კი მუხლამდეც ვერ ჩახვედი წყალში. (იცინის)

ვანო — შენოდენა რომ ვიქნები, შენზე უკეთესი ცურვა მეცოდინება.

კოტე — იფ, შენი გულისა... რაღა გაკლია... შენ თუ გაიზრდები, მე აღარ გავიზრდები?!

ვანო — პიონერხელმძღვანელს რომ დავენახეთ, მაშინ რაღა უნდა გვექნა?

კოტე — ხომ გითხარი, მშიშარა ხარ-მეთქი, ყველაფრის გეშინია.

ვანო — მაშ არა და... ერთხელაც მომხვდა შენი გულისთვის, ხომ გახსოვს.

კოტე — ჰოდა, რაკი აგრეა, მე ხომ არ გეხვეწები, ნუ დადიხარ ჩემთან.

ვანო — არა, კოტე, მე და შენ ხომ მეზობლები ვართ... ერთად ჩამოვედით, ქალაქშიც ერთად დავბრუნდებით. არ გინდა ჩემთან ამხანაგობა?

კოტე — შენ არ გინდა!

ვანო — მე არ მინდა? რას ამბობ, როგორ არ მინდა.

კოტე — ჰოდა, თუ გინდა, ახლავე გამოჩნდება... შენთან საქმე მაქვს.

ვანო — რა საქმე?

კოტე — ჩამოდი საქანელადან... გეტყვი. (ჩამოდიან).

ვანო — აბა, მითხარი.

კოტე — (აქეთ-იქით იცქირება) არავინ არის. აქეთ მოიწიე...

ვანო — მალე მითხარი...

კოტე — მაგრამ იცოდე, არავის არ უნდა უთხრა.

ვანო — არავის არ ვეტყვი.

კოტე — დაიფიცე...

ვანო — პიონერულ სიტყვას გაძლევ.

კოტე — პიონერული არა, დედა დაიფიცე...

ვანო — რა, პიონერული სიტყვისა არა გჯერა? მაშ რაღას გიკეთია ეგ ყელსახვევი.

კოტე — ამ ყელსახვევთან რა ხელი გაქვს. დედა დაიფიცე.

ვანო — დედას ვფიცავ.

კოტე — სხვაგან უნდა წაგიყვანო.

ვანო — სად?

კოტე — ბანაკიდან გავიპაროთ. ერთი ბაღი ვიცი... ისეთი გულადი მსხალი გაჭამო, რომ შაქარზე უფრო ტკბილი და თაფლზე გემრიელი.

ვანო — ეჰ, არა!

კოტე — რა არა?

ვანო — ვერ წამოვალ.

კოტე — ხომ გითხარი, მშიშარა ხარ-მეთქი.

ვანო — მსხალი ხომ გვაჭამეს დღეს სადილობისას.

კოტე — თქვა რა! ის რა მსხალი იყო, ბიჭო, პანტას ჰგავდა... კინაღამ დამახრჩო.

ვანო — წუნია ხარ და მეტი არაფერი. ხომ გვითხრეს: აქაური ბაღის მსხალიაო. რატომ არ მოგეწონა?

კოტე — აქაური არა! ხეზე უფრო გემრიელია.

ვანო — არ წახვიდე, თორემ პიონერხელმძღვანელს ვეტყვი.

კოტე — რაო?

ვანო — დიახ, ვეტყვი... დედაშენმა ხომ მითხრა თბილისში: ერთმანეთს ყური უგდეთ, თუ კოტემ იცელქოს და არ დაგიჯეროს, პიონერხელმძღვანელს ან დირექტორს უთხარიო.

კოტე — ეჰ, შენი გულისა! ამას არ უყურებ?! შენ დედაჩემის ამხანაგი ხარ თუ ჩემი?

ვანო — შენი.

კოტე — ჰოდა, თუ ასეა, დედაჩემს კი არა, მე უნდა დამიჯერო. წამოდი.

ვანო — არ წამოვალ და არც შენ გაგიშვებ.

კოტე — მაშ არ გამიშვებ, ჰა?!

ვანო — არა!

კოტე — თუ არ გამიშვებ, აბა, მიიღე... (ჭიდაობენ, ერთმანეთს აკოტრიალებენ, თავზე დაადგება პაპა გიგო).

გიგო — რა ამბავია, ბიჭებო, რა გაჩხუბებთ?

ვანო — არაფერი... ისე...

გიგო — ისე ჩხუბი ვის გაუგია. გამარჯობათ...

ვანო — გაგიმარჯოს.

 კოტე — იცოცხლე, პაპა.

გიგო — რა გაქვთ გასაყოფი?

კოტე — არაფერი... დამეჭიდეო, მე წაგაქცევო...

ვანო — ვინ გინდოდათ პაპა?

კოტე — აქ როგორ შემოხვედით?

გიგო — როგორ შემოვედი და მორიგეს ვთხოვე. ავუხსენი... მადლობა ღმერთს, მიცნობენ... ბანაკის უფროსის ნახვა მინდა-მეთქი... ერთი ვიღაც შემომეჩვია და...

ვანო — უფროსი ექსკურსიას გაჰყვა.

გიგო — მერე, თქვენ რატომ არ წახვედით ექსკურსიაზე?

კოტე — მე ავად ვარ, ეს ჩემი მეგობარი კიდევ უჩემოდ არ წავიდა.

გიგო — მალე დაბრუნდება უფროსი?

ვანო — ამაღამვე დაბრუნდებიან.

გიგო — კარგი... ხვალ შემოვივლი. ახლა მაინც სხვა საქმე მაქვს. თქვენ კი აღარ წაიჩხუბოთ. ჩხუბი რა პიონერის საქმეა. კარგად იყავით. (გადის).

ვანო — ნახვამდის.

კოტე — ნახვამდის, პაპა... (გააცილებს). ვანო...

ვანო — რაა?

კოტე — იცი, ვინ იყო ეგ მოხუცი?

ვანო — არა, არ ვიცი!

კოტე — კოლმეურნეობის მებაღეა, პაპა გიგოს ეძახიან. ხომ გაიგონე რა თქვა: ახლა მაინც სხვა საქმე მაქვსო. ჰოდა, იმ ბაღში არავინ იქნება, ჰო, შენი გულისა, რა გულაბია! წამო.

ვანო — არ წამოვალ.

კოტე — იცოდე, მსხალს არ გაჭმევ და მერე გული არ დაგწყდეს.

ვანო — არ მინდა შენი მოპარული მსხალი, რა გული უნდა დამწყდეს.

კოტე — მაშ ამის შესახებ ერთი კრინტი...

ვანო — კოტე, არ წახვიდე...

კოტე — ხომ გესმის, არავის არაფერი უთხრა... თორემ... (მუშტს უჩვენებს, გადის).

ვანო — (ეძახის) კოტე!.. კოტე!.. წავიდა. ეჰ, რა დაუჯერებელია.

(სინათლე ქრება)

სურათი მეორე

ბაღი. შუაში მსხლის დახუნძლული ხე. მსხალზე კიბეა მიდგმული. მოისმის ყეფა, ღობესთან გამოჩნდება კოტე.

კოტე — არავინ არის. უჰ, შენი გულისა, რა დახუნძლულია. ბიჭოს! კიბეც მიუდგამთ. ზედ ასვლისა და ჭამის მეტი არაფერი უნდა. (ღობეზე გადმოდის) არავინაა... (ადის კიბით ხეზე) იფ, შენი გულისა... (ჭამს) რა გემრიელია... თაფლივით არ არის! ჰო, რა იქნება ამის მურაბა?! აბა, ერთი უბეშიც ჩავიყარო... (კრეფს და უბეში იყრის). ასე... დავაპრაწინებ თვალებს ვანოს, რომ მოკვდეს არ ვაჭმევ! არ იკადრა ბიჭმა წამოსვლა. ჰოდა, ახლა მიყუროს შორიდან, რომ დავუდგები წინ და ამ ჩაშაქრულ მსხალს შევექცევი. აი, ის ტოტი უნდა დავიწიო, რა მსხლები ასხია! (მოისმის ყეფა). ვაიმე... რაღა ვქნა. როგორ ჩავიდე ძირს. პური ან ძვალი მაინც მქონდეს ჯიბეში — მივუგდებდი და გავაჩუმებდი. უნდა ჩავიდე. რაც იქნება, იქნება, თორემ პაპა გიგო რომ მოვიდეს, მაშინ რაღა მეშველება, მთელი ბანაკი გაიგებს. არა, უნდა ჩავიდე.

(ყეფა ძლიერდება. ჩამოსასვლელად კიბეზე ფეხს დაადგამს. კიბე წაიქცევა). ვაიმე, რაღა ვქნა ახლა. არა, რაც მოხდეს, მოხდეს. უნდა ჩავიდე, თორემ თუ მომისწრეს... (ჩამოდის ნელ-ნელა. ყეფა ძლიერდება). ვაიმე... შარვალი გამიხია, თუმცა შარვალს რას დავეძებ, ფეხსაცმელი წამართვა, ცალი ფეხსაცმელი. მომეცი რა, ცალი რად გინდა. ვაიმე, ისევ მოდის, უნდა გავიქცე. (გაიქცევა და ღობეზე გადახტება. შემოდის პაპა გიგო).

გიგო — რა იყო, თოლია, ვისია ეს ფეხსაცმელი, ქურდს დაატოვებინე? (გამოართმევს) — ყოჩაღ, ჩემო თოლია, ყოჩაღ... ჩვენი ერთგული დარაჯი ხარ. შენ არხეინად იყავი, ამ ფეხსაცმელს პატრონი უეჭველად გამოუჩნდება, უეჭველად!

ფარდა

მოქმედება მეორე

სურათი მესამე

წყარო. ზურიკო კოკას ავსებს. შემოდის ვანო.

ვანო — გამარჯობა, ზურიკო.

ზურიკო — ოჰ, გამარჯობა შენი, ვანო.

ვანო — ზურიკო, შენთან საქმე მაქვს... წამოდი...

ზურიკო — წავიდეთ. (გადიან. პაუზა. შემოდის ნარბენი კოტე).

კოტე — როგორ დავიღალე (წყალს დალევს). წამართვა იმ სამგლემ ცალი ფეხსაცმელი. (ხელს წაივლებს უკან შარვალზე). შარვალიც გამოუგლეჯია. ვაიმე, კარგა ლაზათიანად გაუკრავს კბილი. როგორ მტკივა! რა ჭკვიანია ვანო, არ წამოვიდა. ახლა რაღა ვქნა? იქ დავბრუნდე, ან ძაღლს ვერ გადავურჩები და ან კიდევ პაპა გიგოს. ფეხსაცმელს არ მომცემს. ისევ ბანაკში წასვლა სჯობია. (წყალს სვამს, შემოდის ვანო).

ვანო — კოტე! (უცქერის გამოგლეჯილ შარვალზე უკან, სიცილი წასკდება).

კოტე — ვანო, საიდან გაჩნდი?

ვანო — ზურიკოსთან ვიყავი... სადა გაქვს მსხალი?

კოტე — იფ, შენი გულისა... მსხალი კი არა...

ვანო — არ მომიტანე ჩემი წილი?

კოტე — დამცინი?

ვანო — ეე! შარვალზე რა მოგსვლია!

კოტე — თავი დამანებე.

ვანო — მითხარი, რა, გეხვეწები.

კოტე — ღობეზე ჩამოვიხიე.

ვანო — ღობეზე, თუ პაპა გიგოს ძაღლმა... ა?...

კოტე — შენ საიდან იცი?

ვანო — ჩიტმა მომიტანა ამბავი, ისიც ხომ გულაბ მსხალს შეექცეოდა.

კოტე — ამას უყურე!

ვანო — ფეხსაცმელი? ცალი ფეხსაცმელი რა უყავი?

კოტე — ფეხსაცმელი?..

ვანო — ჰო, ფეხსაცმელი... ეგ ცალიც გაიხადე, ბიჭო, თორემ ცალი გაცვდება და მეორე...

კოტე — რა მეორე...

ვანო — მეორე სადღაა?

კოტე — ხომ გითხარი დავკარგე-მეთქი.

ვანო — დაკარგე?

კოტე — ჩიტმა აღარ მოგიტანა ფეხსაცმლის ამბავი?

ვანო — მომიტანა...

კოტე — რაო?

ვანო — გითხრა?

კოტე — კარგი, კარგი, ვანო... იცოდე, ეს რომ ვინმემ გაიგოს...

ვანო — მე არავის ვეტყვი, მაგრამ თვითონ იტყვის!

კოტე — ვინ?

ვანო — ფეხსაცმელი.

კოტე — როგორ?

ვ ა ნ ო — როგორ და თუ სიარული იცის, ლაპარაკიც ხომ ეცოდინება. უეჭველად იტყვის. წამო, ბანაკისაკენ წავიდეთ.

კ ო ტ ე — წავიდეთ.

(ს ი ნ ა თ ლ ე ქ რ ე ბ ა)

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ ე

პირველი სურათის დეკორაცია. დილაა. პიონერთა ბანაკის კაკლის ძირში დგანან ზურიკო, ვანო და კოტე.

ვ ა ნ ო — ხომ გახსოვს, როგორ დაგარიგე. აი, ამას რადიოს შტეპსელში ჩართავ თუ არა, ეს მიმღებიც მაშინვე ამუშავდება.

ზ უ რ ი კ ო — გმადლობ, ვანო მხოლოდ ეს მითხარი: ეს რადიო მართლა შენი გაკეთებულია?

ვ ა ნ ო — კოტეს ჰკითხე-

კ ო ტ ე — ნამდვილად..

ზ უ რ ი კ ო — ვანო, მე რა გაჩუქო, რომ არ ვიცი.

ვ ა ნ ო — არა გრცხვენია, ზურიკო?

კ ო ტ ე — შენი გულისა, ქალაქსა და სოფელს შორის კავშირი უკვე დამყარებულია.

ზ უ რ ი კ ო — ყველაფერს მოვისმენ?

ვ ა ნ ო — ყველაფერს: მუსიკას, ლაპარაკს და ყოველგვარ გადმოცემას.

ზ უ რ ი კ ო — მოსკოვსაც?

კ ო ტ ე — მაშ!

ვ ა ნ ო — კოტე, ახლა კი გვიამბე, როგორ გადაურჩი თოლიას და პაპა გიგოს?

ზ უ რ ი კ ო — ბიჭებო, ჩაიმალეთ.

კ ო ტ ე — ვაიმე... (გაქცევას აპირებს).

ზ უ რ ი კ ო — (ხელს წაავლებს) არ წახვიდე, მოიცა, საშიში არაფერია.

კ ო ტ ე — პაპა გიგოა?

ზ უ რ ი კ ო — ჩაიმალეთ! (ყველანი ძირს გაწვებიან, ჩურჩულით ლაპარაკობენ).

ვ ა ნ ო — რა იყო, ზურიკო?

ზ უ რ ი კ ო — ის არის...

კ ო ტ ე — ვინ?

ვ ა ნ ო — პაპა გიგო მოდის. კოტე, შეჩერდი, თორემ უარესია.

გ ი გ ო — (შემოდის) გამარჯობათ, უმაწვილებო.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — პაპა გიგოს გაუმარჯოს.

გ ი გ ო — მშვენიერი კაკლის ხეა. (სკამზე ჩამოჯდება). რა ჩრდილი აქვს, პირდაპირ დალოცვილია. ერთი ეს მითხარით, ბიჭებო, (ფეხსაცმელს ამოიღებს და ატრიალებს) ბანაკის უფროსი აქ არის?

ვ ა ნ ო — აქ არის.

გ ი გ ო — ჰოდა, იმასთან მაქვს საქმე (წამოდგება).

კ ო ტ ე — რა საქმე?

გ ი გ ო — რა საქმე და.. მართლა, უმაწვილებო, იჭნება თქვენ იცოდეთ, ვინ დაკარგა ეს ცალი ფეხსაცმელი. იქ ვიპოვნე, მდინარესთან.

კ ო ტ ე — მდინარესთან?

გ ი გ ო — ჰო, მდინარესთან. რად გაგიკვირდა?

კ ო ტ ე — (დაბნეული) მდინარესთან... არა, ისე...

გ ი გ ო — ჰოდა, რა გითხრათ, იცი? უფროსთან წასვლა არცაა საჭირო. აღარ მივალ. თუ ფეხსაცმლის პატრონი გამოჩნდეს, აქვე ვცხოვრობ და მოასწავლეთ. ამ სოფლის მებაღე ვარ. აქ რომ მსხალს მიირთმევთ ხოლმე, ჩვენი ბაღისა გახლავთ. აბა, კარგად მენახეთ, უმაწვილებო.

ვ ა ნ ო — იცოცხლე, პაპა გიგო.

ზ უ რ ი კ ო — მეც თქვენსკენ მოვდივარ.

გ ი გ ო — მაშ არ იცით, ვის დაეკარგა, ხომ?

ზ უ რ ი კ ო — არა, პაპა გიგო...

ვ ა ნ ო — არ ვიცი. (კოტეს გადახედავს).

კ ო ტ ე —არც მე.

გ ი გ ო — მე კი ვიცი.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — მართლა?

გ ი გ ო — მე კი არა, თოლიამაც კი იცის! აბა, გაიქეცი და ნახე, ბანაკის უფროსი იქ არის?

ვ ა ნ ო — ახლავე, პაპა გიგო. (გარბის).

გ ი გ ო — წავიდეთ, შვილო.

ზ უ რ ი კ ო — წავიდეთ, პაპა. (გადიან. შემორბის ვანო.)

ვ ა ნ ო — იქ არის უფროსი.. წასულან. რა იყო, კოტე, რატომ არ დაიცადეს?

კ ო ტ ე — არ ვიცი.

ვ ა ნ ო — რა მოგივიდა, ბიჭო?

კ ო ტ ე — ვანო. მოდი, რაღაც უნდა გითხრა.

ვ ა ნ ო — მითხარი.

კ ო ტ ე — ისე მეტირება, ისე, რომ... ეეე (ატირდება და ვანოს მიეყრდნობა.)

ვ ა ნ ო — რა იყო?

კ ო ტ ე — ნახეს.

ვ ა ნ ო — ვინ?

კ ო ტ ე — ფეხსაცმლის დამკარგავი.

ვ ა ნ ო — როგორ, ვინ?

კ ო ტ ე — ვანო, შენ ხომ ჩემი მეგობარი ხარ, შენ ხომ თქვი ფეხსაცმელი თვითონ იტყვისო.

ვ ა ნ ო — ჰო.

კ ო ტ ე — ერთი რამე მოვიფიქრე და უნდა გითხრა.

ვ ე ნ ო — აბა, მე გისმენ.

კ ო ტ ე — წამოდი, იქით გეტყვი. (მეჯყავს. სინათლე ქრება).

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ე

მეორე სურათის დეკორაცია. ბაღის შესასვლელთან გრძელ სკამზე ზის პაპა გიგო. მთვარიანი ღამეა. სიღრმეში მოჩანს პიონერთა ბანაკში ანძაზე აღმართული წითლადანთებული ვარსკვლავი.

გ ი გ ო — (მღერის)

ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე,
ვარსკვლავებსა დავენახვე,
მთვარემ კაცი მომიგზავნა:
„თუ იქ იყავ, რად არ მნახე!“
— შენი შიშით, მორიდებით,
ველარ მოველ, ველარ გნახე,
თავი ისე შევინახე,
კაცსაც აღარ დავენახე!

(მოისმის ძაღლის ყეფა)

რა იყო, თოლია. შენა ხარ, ბიჭო?

ზ უ რ ი კ ო — მე ვარ, პაპა გიგო... პაპა გიგო, ხომ არ გამოჩენილა ფეხსაცმლის პატრონი?

გ ი გ ო — ჯერ არა.

ზ უ რ ი კ ო — ახლა, აქეთ რომ მოვდიოდი, ორი ბიჭი ერთმანეთს ელაპარაკებოდა. არა შენ მიდი, არა შენო. შორიდან ვერ ვიცანი. პაპა გიგო, მივალ, ვნახავ, ვინ არიან, ახლავე მოვალ. (გადის).

გ ი გ ო — მოიცა, ზურიკო, ემანდ არაფერი დაგიშავონ.

ზ უ რ ი კ ო — (შემოდის) კი, ისინი უნდა იყვნენ.

გ ი გ ო — ვინ ისინი?

ზ უ რ ი კ ო — თვითონ ნახავ, შიშით ახლოს ვერ მოდიან, წავალ, გიგო პაპა. მე ცოტა გვერდით მივდგები. რცხვენიათ... (შემოდის ვანო, შემოჰყავს კოტე.)

ვ ა ნ ო — გამარჯობა, პაპა გიგო.

გ ი გ ო — გაგიმარჯოს!

კ ო ტ ე — (დარცხვენილი) სალამი, პაპა გიგო.

გ ი გ ო — გაიხარე, ბიჭიკო. რაზე შეწუხებულხარ?

ვ ა ნ ო — პაპა გიგო, თქვენ რომ ბანაკის უფროსთან აღარ შეხვედით და ფეხსაცმლის ამბავი არ უთხარით, კოტემ ველარ მოითმინა და...

გ ი გ ო — მერე?

ვ ა ნ ო — ამისია დაკარგული ფეხსაცმელი.

გ ი გ ო — (განგებ გაოცებით) ამისი? რას ამბობ! უყურე შენ! მართლა შენია, ბიძიკო?

კ ო ტ ე — დიახ, ჩემია.

გ ი გ ო —მშვენიერი უმაწვილი ხარ, წითელი ყელსახვევიც მშვენივრად გიხდება. აბა, შენ რა გაქვს ან დასახევი, ან დასაკარგი?! ხილი გინდა? მოდი და მთხოვე, თქვენ-

თვის არაფერს დავიშურებ. დამიცადეთ, ახლავე მოვალ. (შედის ეზოში, გამოდის ზურიკო.)

ზ უ რ ი კ ო — ხომ გითხარით, ძალიან კეთილი კაცია-მეთქი!

კ ო ტ ე — მრცხვენოდა.

ვ ა ნ ო — ჰოდა, ისეთ რამეს ნუღარ ჩავიდენთ, რომ შემდეგ ჩვენი საქციელის შეგვრცხვეს.

გ ი გ ო — (გამოდის) ესეც შენი ფეხსაცმელი. ესეც ჩემი ტკბილი მსხალი. აჰა, ძმურად გაიყავით (აძლევს კალათით).

ვ ა ნ ო — რამდენი მსხალი...

ზ უ რ ი კ ო — რა კარგია, რა ყვითლებია.

კ ო ტ ე — გმადლობთ, პაპა გიგო.

გ ი გ ო — გაიზარდე დიდი კაცი. კარგი მეგობრები გყოლია. ეს ორი ბიჭი შენი ერთგულნი არიან. ყოველთვის კარგ მეგობარს უნდა დაუჭერო. წუწკობა ბეკეკას საქმეა და იმას დაუთმე. ცუდი არავისათვის არ უნდა მოინდომო, დაიმახსოვრე!

ვ ა ნ ო — გმადლობთ, კარგად იყავით პაპა გიგო.

ზ უ რ ი კ ო — ნახვამდის, გმადლობთ.

კ ო ტ ე — პაპა გიგო. თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს.

გ ი გ ო — თქვი, შვილო...

კ ო ტ ე — ჩვენ ხომ შევრიგდით, პაპა გიგო.

გ ი გ ო — შევრიგდით.

კ ო ტ ე — (ხელს ჩამოართმევს) შევრიგდით, პაპა გიგო, თუ შეიძლება გაკოცოთ.

გ ი გ ო — კი, შვილო, რატომ არ შეიძლება.

კ ო ტ ე — თქვენ თოვლის პაპასავით კეთილი ხართ და ჰგავხართ კიდეც მას. ნახვამდის, პაპა გიგო. (ჰკოცნის).

გ ი გ ო — აბა, კარგად იყავით, მალხაზებო.

კ ო ტ ე, ვ ა ნ ო და ზ უ რ ი კ ო — წავიდეთ ბიჭებო. ნახვამდის, პაპა გიგო. (სამივე ხელს გადახვევს ერთმანეთს და მღერიან)

მთის ფერდობზე, ნაძვნარებში
ერთი კოხტა სახლი მოჩანს,
ცად ატყორცნილ ხის ანძაზე
აფრიალებს ქარი დროშას.
რა წარმტაცი ნაძვნარია,
რა ზღაპრული ალაგია,
ჩვენი სოფლის სიხალისე
პიონერთა ბანაკია!

ფ ა რ დ ა

70 წელი შეუსრულდა მწერალ ქალს მარიჯან—ალექსიძეს. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მარიჯანი დაუღალავად ემსახურება თავის ხალხს, ქვეყანას. მისი გულწრფელი სტრიქონები სამშობლოს სიყვარულითაა გამთბარი. მარიჯანი უყვართ მადლიერ მკითხველებს, ყველაზე მეტად კი ბავშვებს. ღვაწლმოსილ მწერალს ხშირად ნახავთ სკოლებში, პიონერულ ბანაკებში. მას ბედნიერი თაობა ეხვევა ყოველთვის გარს. ამ თაობას მიუძღვნა პატივცემულმა მწერალმა თავისი მოთხრობები და ლექსები. «ნელი ცირკში», «ზურა ატმის ქალაქში», «ბედნიერი თაობა», «გელა»—თქვენი საყვარელი წიგნებია.

ჟურნალ «პიონერის» რედაქცია თქვენი სახელით ულოცავს ძვირფას მარიჯანს დაბადებიდან 70 წლისთავს.

საქართველოს ბავშვებს

მარიჯანი

განა მარტო დედა ზრუნავს,
თავს გადგიათ მცველად,
თქვენი აღზრდა, განათლება
გვევალება ყველას.
თქვენთვის მუდამ გახსნილია
სასწავლებლის კარი,
რაც კარგია ამ ქვეყანად
ყველა თქვენთვის არის.

აშენებენ ყველგან სახლებს,
სკოლებსა და ბაღებს,
რომ სინათლის შუქი ზრდიდეს
ჩვენს ბედნიერ ბაღლებს.
გაიზარდეთ, გაიხარეთ,
პატარებო, მუდამ,
კარგი ცვლა და მხნე თაობა
ჩვენს სამშობლოს უნდა.

სამი ამბავი

1.

ხასან ნინიძემ ზაფხულის არდადეგები სოფელში გაატარა. ხან დედას ეხმარებოდა ჩაის კრეფაში, ხანაც მამას წაეშველებოდა ციტრუსების შეფუთვაში. დღეს კი ქალაქს უნდა წავიდეს, პიონერთა პარკში დიდი სეირნობაა. რამდენ საინტერესო რამეს ნახავს იქ. ისეირნებს ტბაზე პატარა გემით, ნავით, წყლის ველოსიპედით; საღამოს კი ტბის შუაგულში პიონერულ კოცონს დაანთებენ და ტბის გარშემო მაშხალებით მსვლელობასაც მოაწყობენ.

ხასანმა სწრაფად ისაუზმა და სოფლის შარაგზას გაუყვა. ავტობუსის გაჩერებამდე კარგა დიდი მანძილი აქვს გასავლელი და ისიც ჩქარობს — ეშინია პირველმა მანქანამ არ გაასწროს.

გზიდან გადაუხვია და მოკლეზე გავიდა. ჯერ კიდევ ნამიან ბალახს უხმაუროდ, ყურადღებით თელავდა. სხვანაირად არც შეიძლება: აქ ხომ სასაზღვრო ზონაა. დაუდევარმა სიარულმა შეიძლება საზღვრის დამრღვევი დააფრთხოს, გააფრთხილოს; ხოლო შენი უყურადღებობით კი მისი სადმე ახლოს ყოფნა გამოგრჩეს.

ფიქრებში გართულმა ხასანმა გაივაკა. ავტობუსის გაჩერებამდე ათიოდე წუთის სავალიღა რჩებოდა, მაგრამ ეს რა არის? ეს რა ჩრდილი გაწვა გზაზე. ნეტა ვინ უნდა იყოს? ხასანმა ყოყმანით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და ახლა უკვე კარგად გაარჩია: ვიღაც უცნობი მისკენ ზურგით იდგა და გარემოს ზვერავდა.

რა ქნას, როგორ მოიქცეს? შორიდან უთვალთვალოს თუ გაეცნოს? რა უპასუხოს? საით მიდის და აქვს თუ არა თან რაიმე იარაღი? — ყველა ეს კითხვა ერბაშად აერია თავში ხასანს. იგი უცნობს მიუახლოვდა, მიესალმა და, ვითომც აქ არაფერიაო, გზა განაგრძო.

ხასანის მოულოდნელი გამოჩენით შემკრთალი უცნობი გონს მალე მოეგო. სალამზე პასუხი დაადევნა და შეაჩერა:

— პიონერი ხარ?

— დიახ, პიონერი ვარ.

— ჰოო, ძალიან კარგი. მაშ სიმართლის თქმა გეყვარება. სოფელს ხომ კარგად იცნობ?

— რა თქმა უნდა. აქ გავიზარდე. ყოველ ხეს და ბუჩქს საკუთარი ხუთი თითივით ვიცნობ.

— რადგან ასეა, აბა, ესეც გეცოდინება, — შემპარავად დაიწყო უცნობმა. — აქეთ რომ მოვდიოდი, გზაზე რამდენიმე სამხედრო პირი შემხვდა... აქ სადმე ახლომახლო სამხედრო ნაწილი ხომ არ დგას, ა?

— სამხედრო ნაწილი? — ხასანი წამით შეყოყმანდა, უცნობი შეათვალიერა და, თითქოს ეს კითხვა ძალზე აკვირვებსო, განაგრძო: — სამხედროებს აქ რა უნდათ, აქ ხომ კოლმეურნეობაა!

— გეტყობა, ყოჩაღი ბიჭი ხარ. აბა, ზღვისკენ მიმავალ გზას თუ მიმასწავლი!

— რატომაც არა. აი, დაადექით ამ ბილიკს და იარეთ, სანამ სამანქანო გზა არ შეგხვდებათ. იქიდან კი ზღვა ადვილი მისაგნებია.

უცნობმა ხასანს მადლობა გადაუხადა, ერთხელ კიდევ შეაქო და მის წასვლას დაელოდა. ხასანიც, თითქოს აქ არაფერიაო, სტვენით დაეშვა თავქვე. გზადაგზა ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში: რა ქნას, როგორ მოიქცეს, საით წავიდეს?.. „უკან მოხედვა, რასაკვირველია, არ შეიძლება, ალბათ მითვალთვალებს. აი, ცოტას გავცდები და შემდეგ შემოვბრუნდები, შეუმჩნევლად უნდა შევამოწმო: ენდო თუ არა ჩემს სიტყვებს, გაჰყვება თუ არა ჩემს მიერ ნაჩვენებ გზას?!“ — უცებ მარჯვნივ შეუხვია, წაბლის ხეს ამოეფარა და ბილიკს გახედა. უცნობი ისევ იქ იდგა და მისკენ იცქირებოდა; შემდეგ თვალი ირგვლივ მიმოავლო და ბილიკს ნაჩვენები მიმართულებით გაჰყვა.

„ესეც ასე! — ჩაილაპარაკა თავისთვის ხასანმა. — თუ ასე ივლი, ზღვას ვერასოდეს ნახავ... მაგრამ იქ... იქ ხომ, გზის ახლოს, მესაზღვრეთა სათვალთვალო კოშკია? ეს როგორღა გამომრჩა. უცნობმა შეიძლება კოშკი შორიდანვე შენიშნოს... როგორმე მესაზღვრეებთან უნდა გავჩნდე, უნდა დავასწრო უცნობს“...

ხასანი სწრაფად გადაევლო ჩაის ბუჩქებს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოჰკურცხლა. თითქმის ნახევარი საათი სულმოუთქმელად მირბოდა. ბოლოს, როგორც იქნა, წვივებდაკაწრული, საკინძეჩამოხეული და ოფლადგაღვრილი საგუშაგოზე მიიჭრა. ნაცნობი მესაზღვრე ნიკოლოზ კრავჩენკო შენიშნა და მისკენ გაქანდა.

— ძია ნიკოლოზ... ძია ნიკოლოზ!.. იქ... უცნობია, აქეთ მოდის, — ძლივს იბრუნებდა ენას და ნაცნობ მესაზღვრეს ხელზე ექაჩებოდა. — ზღვისკენ მიმავალი გზა მასწავლეო, მთხოვა... მე კი აქეთ გამოვისტუმრე...

— ყოჩაღ, ხასან! — შეაქო ნიკოლოზმა ნორჩი თანაშემწე. — სწორად მოქცეულხარ. აბა, ერთი იქით გადავინაცვლოთ, მაყვლის ბუჩქს ამოვეფაროთ და დაველოდოთ: ვნახოთ, რა ჩიტია შენი უცნობი!

მალე, ბილიკზე, წელში სანახევროდ მოხრილი უცნობი გამოჩნდა. მოდიოდა ფრთხილად, თვალების ცეცებით. ჩასაფრებულ მესაზღვრეებს. რომ გაუსწორდა, ნიკოლოზმა შაშხანა შემართა და ხმამაღლა შესძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენი საბუთები! არ გაინძრეთ, თორემ...

უცნობმა ჯიბისკენ წაღებული ხელი სწრაფად დაუშვა და, ბუჩქიდან გამოსული ხასანიც რომ შენიშნა, გახევდა, მწარედ ჩაიცინა:

— წყეული ბიჭი... თქვენს მიწაზე ვერავის ენდობა კაცი...

საგუშაგოზე გამოირკვა, რომ უცნობი უცხოეთის დაზვერვის აგენტი იყო.

მესაზღვრეებმა ჰასანს საგუშაგოს კომკავშირული ორგანიზაციის მადლობა გამოუცხადეს, დაასაჩუქრეს.

სულ მალე კი იგი, როგორც მამაცი პიონერი, მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის საპატიო წიგნში იქნა შეტანილი.

2.

აჭარის მარადმწვანე მთებს აქა-იქ სიყვითლე შეეპარა. სოფელში ბარაქიანი შემოდგომა ჩამოდგა. დაიწყო ციტრუსების მასიური კრეფა.

მოსწავლეებმა ეთხმად გადაწყვიტეს, გაკვეთილების შემდეგ ორ-ორი საათი მაინც მიხმარებოდნენ კოლმეურნეებს. შექმნეს ცალკეული რგოლები და ჩვეული ენერგიით შეუდგნენ მუშაობას.

ქემალ წულუკიძის რგოლმა იმ დღეს ჩვეულებრივზე ადრე დაამთავრა გაპიროვნებულ ნაკვეთში მანდარინის კრეფა. პიონერებმა ერთხელ კიდევ გადავლეს თვალი ყუთებში საგულდაგულოდ ჩაწყობილ ციტრუსებს და ორლობეებში გაუჩინარდნენ. ქემალმა ცარიელი გოდორი მხარზე მოიგდო და შინისკენ გასწია. მისი სახლი სოფლიდან მოშორებით, მთის ფერდს მერცხლის ბუდესავით აკვროდა და ხელისგულივით გადაშლილ მთელ ხეობას დაჰყურებდა.

შინ მისული ქემალი მოულოდნელობისაგან გაშეშდა: ხის ძირში ვიღაც უცნობი მიწას გაკვროდა, მისგან ორიოდე ნაბიჯზე ყურშა ჩაცუცქულიყო და თავის მსხვერპლს გულმოდგინედ დარაჯობდა. პატრონის დანახვაზე ძაღლი გამხიარულდა და კიდევ უფრო გამძაფრებით მიეტანა უცნობს.

— ჭკვიანი ძაღლი გყოლიათ, — კბილებსშუა გამოსცრა უცნობმა, როცა ქემალმა ძაღლი ჩამოაშორა და ფეხზე ადგომის საშუალება მისცა. — ერთი წუთით წყლის დასალევად შემოვედი და აგერ, ორი საათია, მიწას მალოკვინებს.

— წყალი გნებავთ? ახლავე მოგიტანთ!

„წყალი მინდაო, — გაიკვირვა ქემალმა, როცა უცნობმა ხელადა სულმოუთქმელად დასცალა. — თუ წყალი გინდოდა, ამ სიშორეს რამ ამოგიყვანა! ალბათ, ჭურდია, ან კიდევ...“

— შორეული ქალაქიდან მოვდივარ, სამუშაოს ვეძებ. — მითხრეს სამუშაოს შოვნა აქვე, მეზობელ სოფელში შეიძლებაო, — უცნობმა საზღვრისპირა, კარგა მოზრდილი სოფელი დაასახელა.

— ეს სოფელი არც თუ ისე ახლოა აქედან, ორი საათის სავალი მაინც იქნება. თქვენ, ალბათ...

— გზა ამერია, არა? მართალი ხარ. ამ მთებში დიდი ხანია არ ვყოფილვარ და არ ვიცი, გავიგნებ თუ არა ახლა გზას. აი, შენ რომ დამეხმარებოდე, მაშინ...—უცნობმა ჯიბიდან შოკოლადის კარგი მოზრდილი ფილა ამოიღო და ქემალს გაუწოდა.—აიღე. დანარჩენი შემდეგ იქნება...

— ეს რა საჭიროა, მე ისედაც შემიძლია დაგეხმაროთ. მოკლეებზე ვივლით და იმ სოფელში ერთ საათში გავჩნდებით, — ჩაიდუდუნა ქემალმა.

— აი, ეს მესმის, მასპინძლობაც ასეთი უნდა ... ხარდა უცნობს.

ქემალმა უცნობი მთელი საათი კლდე-ღრეზე ატარა, თვითონაც დაიქანცა და ისიც მოღალა. „სამუშაოს მაძიებელს“ რაიმე ეჭვი რომ არ აღძროდა, გზადაგზა გამუდმებით ლაპარაკობდა. ესაუბრებოდა სკოლაზე, ქალაქზე, თავის სოფელზე.

აი, სათვალთვალო კოშკიც გამოჩნდა. ქემალი ახლა უფრო გაბედულად ალაპარაკდა, ხმასაც მოუმატა და... სწორედ აქ ვეღარ მოზომა. უცნობმა შენიშნა ბავშვის გამოცოცხლება და შეჩერდა. ჯერ ქემალს შეხედა გამომცდელად, შემდეგ გზას და ადგილზევე გაშეშდა.

— ეს რა მიყავი, გველის წიწილავ! —ყრუდ დაიღმუვლა და ქემალს სილა გააწნა. — ესეც შენ! კიდევ მატარებ კლდე-ღრეზე?

— მე... მე... — სცადა ენის მობრუნება ქემალმა, მაგრამ უცნობმა სწრაფად ჩაავლო ხელი ქეჩოში და უკან მოაბრუნა.

— ჩქარა გამიყვანე აქედან, თორემ... — სიტყვის დამთავრება არ დასცალდა უცნობს, ზურგს უკან ფეხის ხმა შემოესმა და შემობრუნდა. მესაზღვრეები უახლოვდებოდნენ. „სამუშაოს მაძიებელმა“ სწრაფად იფარა ბავშვი და იარაღი მოიმარჯვა... ხმაური ახლა სხვა მხრიდან განმეორდა. ეტყობოდა, მესაზღვრეებს შორიდანვე შეენიშნათ იგი და თადარიგი დაეჭირათ, მესაზღვრეთა რკალი სწრაფად ვიწროვდებოდა. წინააღმდეგობას არავითარი აზრი არ ჰქონდა.

ის იყო, თამაზ ზოიძე პურის მაღაზიიდან გამოვიდა, რომ წელში ოთხად მოხრილი მოხუცი მიუახლოვდა.

— ბიჭიკო, იქნებ სასადილო მიმასწავლო, ჰა? — ჩიფ-ჩიფით ჩაილაპარაკა და წეკოსაგან შებოლილ წვერზე ხელი გადაისვა.

— აი, ძია, იქ არის, — მკვირცხლად უპასუხა თამაზმა და მოშორებით მდგარ ორსართულიან სახლზე მიუთითა.

მოხუცი სასადილოში დიდხანს არ შეჩერებულა. გამოვიდა თუ არა, სოფლის შუაგულისაკენ გასწია. ერთ-ერთ სახლთან შეჩერდა და მასპინძელს დაუძახა. სახლიდან პატარა ბიჭი გამოვიდა.

— გაიღეთ მოწყალება, დამეხმარეთ მოხუც ინვალიდს! — საცოდავად ალუღლუღდა მოხუცი და ბიჭუნას ხელგაწვდილი მიეგება.

„მათხოვარი ყოფილა, საწყალი!“ — შეებრალა თამაზს უცნობი, მაგრამ მის სიარულს ერთხელ კიდევ რომ დაუკვირდა, შეფიქრიანდა. მათხოვარი სოფლის შუაგულს რაც უფრო სცილდებოდა, მით უფრო მტკიცედ და გამართულად მიაბიჯებდა. თამაზი უკან აედევნა. გზაზე, ათიოდე წლის ბიჭუნა შეაჩერა და დაარიგა:

— ახლავე გაიქეცი მესაზღვრეებთან და უთხარი, სოფელში უცხო კაცი დადის-თქო, წვერებიანი, თავზე თბილი ქუდი ახურავს, შავი, დაძონძილი კოსტუმი აცვია და ჯარისკაცული ჩექმები. მე შორიახლო მივყვები, თვალყურს ვადევნებ... კვალსაც დავტოვებ. აბა, გაფრინდი!

მოხუცმა ერთ-ორ მოსახლესთან კიდევ შეიარა „მოწყალებისათვის“ და მოულოდნელად ტყეს შეაფარა თავი.

—აჰა, ესეც შენი მათხოვარი! — წამოიძახა გაკვირვებულმა თამაზმა.

ნახ. გ. თოთიბაძისა

— იქ ხომ აკრძალული ზონაა... სამათხოვროდ იქ რა უნდა?!

ტყის პირას ხმელი ტოტისაგან ისარი გააკეთა, ირგვლივ პურის ნატეხები შემოუწყო და უცნობს — ადევნა. მოხუცი უკვე წელგამართული მიდიოდა. გარემოს დაზვერვით დროს აღარ კარგავდა. ჩქარობდა. ეტყობოდა, ეს გზა კარგად იცოდა. თამაზი კვლავ შეუმჩნევლად მიჰყვებოდა, თან ყოველ მეათე ნაბიჯზე რაიმე ნიშანს სტოვებდა.

უეცრად, სოფელს თავზე შუშხუნამ გადაუარა — საგუშაგოზე განგაში გამოცხადდა. მოხუცის სიარულს აშკარად დაეტყო შეშფოთება. მალი-მალ ჩერდებოდა, აქეთ-იქით იცქირებოდა. თამაზი ხოხვით განაგრძობდა გზას. იდაყვები და მუხლისთავები სულმთლად გადაეყვლიფა. ისე გაიტაცა უცნობის კვალდაკვალ ხოხვამ, რომ ვერც კი შენიშნა, როგორ შედგა ხმელ ტოტზე. გაისმა ყრუ ტკაცუნი. უცნობი შეჩერდა, მობრუნდა და თამაზისაკენ ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა.

—აი, უბედურება! — გაუელვა თავში თამაზს. — თუ შემამჩნია, ალბათ არც დამინდობს... — ხოხვით გვერდზე გადაუხვია და ბუჩქებში გაირინდა.

როცა რამდენიმე წუთის შემდეგ თავი ასწია, „მათხოვარი“ არსად ჩანდა.

— ჰმ, გაიქცა წყეული! — თამაზმა იდაყვებზე წამოწევა სცადა, მაგრამ შეეშინდა: „იქნებ სადმე ჩასაფრებულია და მითვალთვალებს. არა, ცოტა უნდა დავიცადო“.

იცდიდა სუგაკმენდილი თამაზი, მაგრამ ტყის სიღრმიდან საეჭვო არაფერი ისმოდა. ბოლოს, ის იყო, უკან გამობრუნებას აპირებდა, რომ ხეზე ადამიანის ლანდი შენიშნა. იგი ხმაურით ეშვებოდა ძირს. „ალბათ რაიმე შენიშნა“, — გაივლო გულში თამაზმა და გაინაბა. უცნობი ხიდან ჩამოხტა და ხშირ შქერს შეერია.

ახლა უკნიდან მოისმა ხმაური.

თამაზმა გულისფანცქალით მოაბრუნა თავი და სიხარულისაგან კინაღამ შეჰყვირა, — მისკენ მესაზღვრეები მორბოდნენ.

„აი, ვინ შეუნიშნავს თურმე!“ — სწრაფად წამოდგა, მესაზღვრეებს შეეგება და შქერის ბუჩქებზე მიუთითა:

— იქ მიიმალა, სულ რაღაც სამიოდე წუთია.

ზემდეგმა ბრძანება გასცა და მეძებარ ძაღლს საბელი შეხსნა.

მალე მესაზღვრეებმა ბუჩქებიდან ხელებშეკრული უცნობი გამოიყვანეს.

— რაო, ვერ იცანი, ჩემო კარგო? — შეეკითხა თამაზს ზემდეგი, როცა ბავშვის გაკვირვებულ თვალებს წააწყდა.

— ჩაცმულობით კი, მაგრამ... ის... ის ხომ მოხუცი იყო!

— ეგ არაფერი. იყო და აღარ არის. აი, ის შენი მოხუცი!—გაიცინა ზემდეგმა და ხელი ასწია: თითებს შუა „მოხუცის“ პარიკი ქანაობდა.

ანზორ ხომერიკი

ეჭვი ჭეშმარიტად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარკვევი

ამას წინათ ერთი ძველი ნაცნობი შემხვდა ქუჩაში — ალექსანდრე აივაზიშვილი. რკინიგზაზე მუშაობს, ხშირად უხდება მოგზაურობა და იშვიათად ვხვდები თბილისში. ადრე ბევრჯერ გვითამაშია ერთმანეთთან ჭადრაკი. სწორედ სადილობის დრო გახლდათ და შინ მივიწვიე, თან ისიც ვუთხარი, ჭადრაკს გეთამაშები, გავიხსენოთ ძველი ბრძოლები-მეთქი. დამთანხმდა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ჩემთან წამოსულიყო, ძალისძალად თავის სახლში წამიყვანა.

შინ რომ მივედით, ბავშვები ეზოში სათამაშოდ ჩასულიყვნენ და მამამ აივნიდან დამანახა ისინი.

— აგერ ის, ჩემი ვაჟკაცია — ბორისი. თერთმეტი წლის არის, სულ „ხუთებზე“ სწავლობს... ის კი... ის ქერათმიანი წკიპურტა...—და მან ვეღარ მოასწრო სიტყვის დამთავრება, რადგან დიასახლისმა ჭადრაკი მოგვიტანა.

— იმის გაცნობას მოასწრებ. აბა, ერთი დაჯექი, გავაწყოთ ეს დაფა, — მითხრა ალექსანდრემ და გაჩაღდა თამაში.

ჩემმა მასპინძელმა არასწორი სვლა გააკეთა მხედრით. მაშინვე ვტაცე ხელი ფიგურას.

— მოიცა, კაცო, ტაცობა ხომ არ არის, ჯერ არ დამისვამს მხედარი უჯრაზე! — წამოიძახა ალექსანდრემ.

— ვისაც გინდა, დავეკითხოთ, თუ ფიგურისათვის ხელი არ გაგიშვია, შეგიძლია სხვა რამე ითამაშო. თამარ! — გადასძახა მეუღლეს, — ერთი მიშას დაუძახე, აქ მოვიდეს.

„ვინ არის მიშა? — გავიფიქრე მე. — ალბათ, ვინმე მეზობელია“.

აივანზე იმ ქერათმიანმა ბიჭუნამ ამოირბინა, რომელიც ალექსანდრემ წეღან დამანახა.

— ეს ჩემი უმცროსი ბიჭია.

ხელი ჩამოვართვი პატარას, მოვეფერე.

—ვკითხოთ? — თქვა მასპინძელმა.

— ვის ვკითხოთ? — გამიკვირდა მე.

— ვის და მიშიკოს, — ბავშვზე მიმითითა.

— დამცინი, ძმაო? ამან რა იცის?

— ამან შენზე მეტი იცის! — ღიმილით მეუბნება ალექსანდრე და მერე პატარა ბიჭს ჩვენი კამათის მიზეზს უხსნის: — ჰო, აი, ასე იყო... ხომ მართალი ვარ, შვილო? — ჰკითხა ბოლოს.

— არა, მამიკო, მტყუანი ხარ, ასე არ ვარგა, — დინჯად თქვა მიშამ.

სახტად დავრჩი. თამაში განვაგრძეთ. როგორც იყო დავამარცხე ჩემი მოწინააღმდეგე. შევატყვე, არ ესიამოვნა.

— მოდი, ახლა ჩემს ბიჭს ეთამაშე.

— ვის, ამას? რას ამბობ კაცო, ბავშვი მნახე? რამდენი წლის ხარ ბიჭუნი? — მივუბრუნდი ცეროდენას.

— ექვსის.

— დაფის გაწყობა იცი? — ვკითხე და უხალისოდ დავიწყე უჯრებზე ფიგურების დალაგება.

დავიწყეთ თამაში და... თვალებს არ ვუჯერებ. ერთი სვლა, მეორე, მესამე, მეოთხე... ცუდად არის საქმე. აღარაფერზე აღარ ვფიქრობ. გაშტერებული შევცქერი ბავშვს, რომელიც ჩემს წინ მაგიდასთან სკამზე დაასკუპეს.

— მოდი, ყაიმზე შევთანხმდეთ, — ვეუბნები აღტაცებული.

— არა, ძია, არ მინდა. — მიპასუხა წყნარად და „შახ!“ — მითხრა ბავშვური სიხარულით.

როგორც იქნა, მოვახერხე თავის დაცვა და ისევ: „შახ!“... „შახ!“

სულ მალე ჩემი მეფე მისმა მხედრებმა შუაში მოიმწყვდიეს.

...— მამიკო, რა არის ჭადრაკი? — ეტიტინებოდა თურმე მშობელს ყოველ ცისმარე დღეს ხუთი წლის მიხეილი.

მამას ეზარებოდა ტყუილუბრალოდ ლაპარაკი, მაგრამ ერთხელ მაინც ჩამოუთვალა დაფაზე დალაგებული ფიგურები და აუხსნა თამაშის წესები.

ერთ დღეს დედამ შენიშნა, რომ ბავშვი სათამაშოდ არ ჩასულა ეზოში, მთელი დღე იდგა ჭადრაკის ჭრელ დაფასთან და მარტო თამაშობდა. ამის შემდეგ მიშიკო და ჭადრაკი სამუდამოდ დაძმობილებულან. თურმე ლოგინშიც კი ჭადრაკთან ერთად იძინებდა.

ერთხელ მამა გვიან ღამე დაბრუნდა შინ და სარკმლიდან შემდეგი რამ დაინახა: საწოლ ოთახში, ქუჩიდან შემომავალ სინათლეზე, მიხეილს ჭადრაკი გაეშალა და თამაშობდა.

აი, მან. ფიგურა დასძრა, ადგა და, რადგან პირისპირ არავინ იყო, ფეხშიშველმა მეორე მხრიდან შემოუბრუნა მაგიდას, საპასუხო სვლა გააკეთა, მერე ისევ დაბრუნდა... და ასე მარტოკამ დაამთავრა „ორთაბრძოლა“. ამ ბრძოლაში პატარა მიხეილი გამარჯვებულიც თვითონ იყო და დამარცხებულიც.

ბავშვს თამაში აუკრძალეს, მაგრამ როდემდე შეიძლებოდა ასე გაგრძელებულიყო? ადგნენ და რკინიგზის ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლში მიიყვანეს ჭად-

რაკის მასწავლებელ ოსტატ მიხეილ შიშოვთან, რომელიც განცვიფრებაში მოვიდა.

ამის შემდეგ პატარა მიხეილი საიმედო ხელში მოხვდა. მისი სახელი ჩქარა ცნობილი გახდა. შარშან, მაისში, ცეროდენა მოჭადრაკის პირველი სპორტული გაზაფხული იყო — გაიმართა ტურნირი, რომელშიც 22 კაცი მონაწილეობდა. აქ პატარა მიხეილმა საჯაროდ შეასრულა სპორტული თანრიგის ნორმა.

აი, რას წერდა ამის შესახებ გაზეთი „ჟელეზნოდოროჟნიკ ზაკავკაზია“: „შეჯიბრების ყველაზე ნორჩი მოჭადრაკეა ხუთი წლის მ. აივაზიშვილი. მიხეილმა, როგორც იტყვიან, გაანადგურა თავისი მოწინააღმდეგეები და შეასრულა თანრიგის ნორმა“.

შარშან თბილისში ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მოჭადრაკეები ჩამოვიდნენ, ისინი პირველობისათვის იბრძოდნენ. რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. ყველა უცქეროდა დიდოსტატების თამაშს. მაგრამ რა იცოდნენ, რომ ამ დროს სცენის კულისებშიც „გაცხარებული“ ბრძოლა იყო. მ. შიშოვმა თავისი მოწაფე სახელგანთქმულ მოჭადრაკეს—ლილიენტალს წარუდგინა და ისინი ოსტატურად შეებნენ ერთმანეთს. ეს ბრძოლა ყაიმით დამთავრდა.

ცოტა ხნის შემდეგ დიდოსტატმა დავით ბრონშტეინმა რკინიგზის საავადმყოფოში, სადაც მიხეილის დედა ექიმად მუშაობს, ერთდროულად 12 მოჭადრაკესთან ითამაშა. მეთორმეტე იყო პატარა მიხეილი.

ათმა კაცმა წააგო ბრძოლა სტუმართან, ყველამ მოათავა თამაში, ხოლო დ. ბრონშტეინი და მიხეილი კვლავ განაგრძობდნენ ბრძოლას.

— მოდი, ყაიმზე შევთანხმდეთ, ბიჭუნი, — უთხრა აღტაცებულმა სტუმარმა მიხეილს.

ყურადღებით ადევნებს თვალს პატარა მიშა ოსტატის—მიხეილ შიშოვის ყოველ ხვლას.

— არა, ძია, არა! — ჩვეულებისამებრ ჯიუტად ახამხამებდა თვალებს იგი, მაგრამ ბრძოლა მაინც ყაიმით დამთავრდა.

თითქოს ყველაფერი ეს დაუჯერებელი ამბავია.

მაგრამ ვინც ნახავს პატარა მიხეილს, რომლის მკერდსაც მესამე თანრიგის სპორტსმენის ნიშანი ამშვენებს, გასინჯავს მის საკვალიფიკაციო ბილეთს, გამოკითხავს ოსტატ მ. შიშოვს და, დასასრულ, ვინც პირადად ეთამაშება ნორჩ მოჭადრაკეს, თვითონ დარწმუნდება ჩვენი ნაამბობის სრულ სიმართლეში.

გ. ნიშნიანიძე

ოლიმპიადიდან ოლიმპიადამდე

1896 წელს, საბერძნეთში, პირველ ოლიმპიურ თამაშებზე მარათონული რბენა მიმდინარეობდა. ცხელი, მზიანი დღე იდგა. ათიათასობით მაყურებელი მოუთმენლად ელოდა შეჯიბრების შედეგს. ცხენოსნები და ველოსიპედისტები ესტაფეტასავით ერთმანეთს გადასცემდნენ ცნობას შეჯიბრების მსვლელობის შესახებ და ბოლოს ამბავი სტადიონამდე აღწევდა. მონაწილეთა შორის მხოლოდ ოთხი უცხოელი იყო, რომელნიც ლიდერობდნენ კიდეც შეჯიბრს, მაგრამ აუტანელ სიცხეს ვერ გაუძლეს და სტადიონზე პირველი, მტვერში ამოსვრილი, ოფლადქცეული ბერძენი მორბენალი სპირიდონ ლუისი შემოვიდა.

მაყურებელი ფეხზე წამოდგა, ჰაერში ავარდა ქუდები, მსაჯები მიეგებნენ მარათონის ჩემპიონს და მასთან ერთად დაამთავრეს რბენა. მორბენალთან მეფის ვაჟიშვილები მიიჭრნენ და იგი ლოჟაში დედოფალს წარუდგინეს; ვიღაცამ ბრილიანტით შემკული საათი წაიძრო; ერთმა სასტუმროს პატრონმა მას ათი წლით უფასო კვება აღუთქვა და იქვე ჩეკი გამოუწერა კიდეც; ერთმა ამერიკელმა მილიონერმა ქალმა კი ცოლობა შესთავაზა.

ლუისი ნაციონალური გმირი გახდა.

პატარა რიწა

რიწის ტბა თავისი სილამაზითა და მნიშვნელობით მთელ საბჭოთა კავშირშია ცნობილი. შეიძლება ბევრმა არც კი იცოდეს, რომ არსებობს პატარა რიწის ტბაც. იგი დიდი რიწის ტბის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს და ზღვის დონიდან მასზე მეტს —1248 მეტრ სიმაღლეს ითვლის. პატარა რიწის ფართობი 30 ჰექტარს შეადგენს, ხოლო სიღრმე—80 მეტრს. ტბის ქვიშიანი და ლოდებიანი ფსკერი სქელი დანალექითაა დაფარული. ეს ტბა გამჭვირვალე ცისფერია. პატარა რიწა უმეტესად თოვლის წყლებითა და წვიმებით იკვებება. გაზაფხულსა და შემოდგომაზე, დიდი ნალექების დროს, ტბის დონე 2—3 მეტრით მაღლდება, ხოლო ზაფხულის გვალვიან თვეებში თითქმის ამდენივე მეტრით იწევს დაბლა.

ტბა ირგვლივ მთებითაა შემოზღუდული, ჩრდილო-აღმოსავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით ციცაბო, კლდოვანი და მიუვალი ნაპირები აკრავს. სამხრეთ-აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით კი ნაპირი დაბალია. ტბის ირგვლივ მთები, ფერდობები და სანაპიროები ხშირი, ფოთლოვანი და წიწვიანი ტყითაა დაფარული. ამ ტბაში სიცოცხლე ნაკლებადაა განვითარებული—იგი

ძალიან ღარიბია ცხოველებითა და მცენარეებით. მის ბინადართაგან შეიძლება დავასახელოთ წყლის ბაყაყი, ტრიტონი და სალამანდრა.

პატარა რიწა თავისებური სილამაზის ტბაა. მის გარშემო მდებარე მთაგრეხილები, მთები, გაუვალი, დაბურული ტყეები რაღაც ზღაპრულ სანახაობას ჰქმნიან. ამ ლამაზ მთაგრეხილებს შორის ჩაკრულ ციხფერ ტბას კაცი რომ თვალს მოჰკრავს, აღტაცებით აივსება.

პატარა რიწა კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება, თუ ადამიანი ტბის სანაპიროს კეთილმოწყობილს გახდის. მისი მიმართულებით უკვე გაყვანილია ორი კილომეტრი სიგრძის გზა. შემდეგში შეიძლება პატარა რიწა სიცოცხლითაც ავავსოთ. ტბაში შეიძლება მოვამრავლოთ წყალმცენარეები, თევზის საკვები ორგანიზმები და დიდი რიწიდან განთქმული კალმახიც კი გადავიყვანოთ.

გამგუზია

ამჟამად საქართველოს მტკნარ წყლებში გავრცელებულ თევზებიდან ყველაზე მცირე ზომისაა გამბუზია. გამბუზიის სამშობლოდ ითვლება ჩრდილოეთ ამერიკის ატლანტის ოკეანის სანაპიროების მტკნარი წყლები, საიდანაც გადაყვანილ იქნა რამდენიმე სახეობა ჯერ იტალიაში, შემდეგ იქიდან 1925 წელს, ექიმმა ნ. რუხაძემ შემოიყვანა დასავლეთ საქართველოში ორი სახეობა, რომლებიც გავრცელებულ იქნა პირველად ხოხუმის მიდამოებში შემდეგ კი მთელ საქართველოს ყველა დაბლობ რაიონში. საქართველოდან გავრცელებულ იქნა: აზერბაიჯანში, სომხეთში, სამხრეთ უკრაინაში, ჩრდილო კავკასიაში, ყაზახეთში, თურქმენეთში, უზბეკეთში, ტაჯიკეთში.

დედალ-მამალი გამბუზია მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მამალი მცირე ზომისაა. იზრდება 4 სმ.-მდე, წონით,—0,5 გრამამდე, წვრილსხეულიანია. ანალური ფარფლის უკანა სხივები ისე მოკლე აქვს, რომ შეკვეცილი გეგონებათ. დედალი გაცილებით დიდია, იზრდება 7 სმ-მდე, წონით 3,5 გრ-მდე.

ჩვენს მტკნარ წყლებში გავრცელებული თევზები გამრავლების დროს ყრიან ქვირითს, რომელიც შემდეგ ნაყოფიერდება და იქიდან იჩეკებიან ლიფსიტები, ხოლო გამბუზია ყრის ლიფსიტებს, ესე იგი ცოცხალმშობი თევზია.

გამბუზია ნორმალურ პირობებში წელიწადში 6-ჯერ მრავლდება. ერთ ჯერზე ყრის 15-100 და ზოგჯერ მეტ ლიფსიტას, ზრდასრული ხდება გამოჩეკიდან ერთი თვის შემდეგ და იწყებს გამრავლებას.

გამბუზია ვერ ეგუება ღრმა წყალსა და ჩქარ დინებას. ბინადრობს დამდგარ თხელ წყლებში, ტბისა და ტბორის ნაპირებში, მდინარის მცირე ტოტებში და ჭაობებში. თბილი წყლის მოყვარული თევზია: მისი შეუფერხებელი გამრავლებისა და ზრდა-განვითარებისათვის ნორმალურ ტემპერატურად ითვლება ცელსიუსის 20—30 გრადუსი. მეტი ან ნაკლები ტემპერატურა უარყოფით გავლენას ახდენს. წყლის 7—8 გრადუსი ტემპერატურის დროს ის იზამთრებს, ესე იგი ძილს ეძლევა.



გამბუზია მტაცებელი თევზია, იკვებება წყლის მწერების მატლებით, ჭუპრებით, წვრილი ცხოველებითა და ნაწილობრივ წყლის მცენარეებით. საკვების ნაკლებობისას ჭამს საკუთარ ლიფსიტებს, ანადგურებს სხვა თევზების ქვირითსა და ლიფსიტებს.

გამბუზია ფრიად მნიშვნელოვანია მალარიის მოსპობისათვის. ამ მიზნით იქნა ის

ჩვენს წყლებში გადმოყვანილი და გავრცელებული. ხოლო, როგორც ცნობილია, მალარიის გამომწვევ პარაზიტებს ავრცელებს კოღო. კოღო ზამრავლებისას კვერცხებს დებს მდგარ წყლებში, ტბებში, ტბორებში, ჭაობებში, იქ, სადაც დიდი რაოდენობითაა გამბუზია. კოღოს კვერცხიდან იჩეკება მატლი, რომელიც იქვე ჭუპრდება და ჭუპრიდან კი გამოფრინდება კოღო. და აი, სწორედ კოღოს გამოფრენამდე, გამბუზია დიდი რაოდენობით ანადგურებს მათს მატლებსა და ჭუპრებს.

ამ პატარა თევზმა ჩვენთან დიდი როლი შეასრულა მალარიის მოსპობაში, ხოლო მეორე მხრივ, უარყოფითად იმოქმედა ჩვენი მტკნარი წყლის თევზების გამრავლებაზე, ხელი შეუწყო მათ შემცირებას, რადგან იგი ანადგურებს მათ ქვირითსა და ლიფსიტებს. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ გამბუზია ცხოვრობს იმ ადგილებში, სადაც სხვა თევზებიც მრავლდებიან. ამიტომ საჭიროა ისეთი ღონისძიებები, რაც შეზღუდავს გამბუზიას სხვა მნიშვნელოვანი თევზების ქვირითისა და ლიფსიტების განადგურებაში.

რ. ელანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლახტი

ცნობილ ხალხურ თამაშობას—ლახტს დღემდე არ გააჩნდა ზუსტად განსაზღვრული თამაშის წესები, რომელიც პიონერ-მოსწავლეებს შეჯიბრების ჩატარების საშუალებას მისცემდა. ამიტომ ჩვენი ჟურნალის რედაქცია ინტერესით შეხვდა ასეთ წესებს, რომელიც ზაქარია შერაზადიშვილმა შეადგინა საქართველოში გავრცელებული ლახტის სხვადასხვა ვარიანტის მიხედვით და რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.

(თამაშის წესები)

1. მოედანი

ლახტის სათამაშო მოედანი წარმოადგენს წრეს ერთი ცენტრიდან გავლებულია ორი წრეხაზი—შიგნითა 2,5 მ. რადიუსით და გარეთა—5 მ. რადიუსით. ლახტის წრეხაზი მოედანს ყოფს ორ ნაწილად—შიგნითა, ანუ ლახტის წრედ და გარეთა წრედ.

თითოეული წრეხაზის სიფართე 5 სმ-ია და შედის იმ წრის ზომაში, რომელსაც შემოსაზღვრავს.

ლახტის წრეხაზი გაყოფილია 5 თანაბარ ნაწილად. გაყოფის ადგილებიდან ცენტრის მიმართულებით გავლებულია 120 სმ. სიგრძისა და 5 სმ. სიგანის საქამრე ხაზები.

ცენტრი წარმოადგენს „მცირე წრეს“ 20 სმ. დიამეტრით.

მოედანი სასურველია იყოს ბალახიანი, იხაზება კირის ხსნარით.

2. ქამრები და სასტვენი

თამაშისათვის საჭიროა გამძლე ტილოს ან ტყავის 5 სარტყელი, ანუ ქამარი; მისი სიგრძე 115—120 სმ.-ია, სიგანე—3-4 სმ. სისქე—2 მმ-დე. ლახტის ორივე ბოლო შემოჭრილია ენისებურად.

თითოეული ქამარი გაშლილი სახით იდება საქამრე ხაზზე და ერთი ბოლოთი ეხება წრეხაზის გარეთა კიდეს.

3. გუნდების შემადგენლობა და ჩაცმულობა

თამაშში მონაწილეობს ორი გუნდი. თითოეულში 7 მოთამაშეა, მათგან 2—სათადარიგოა. გუნდს ყავს გუნდისთავი.

თამაშში გუნდი მონაწილეობს 5 კაცის შემადგენლობით. გუნდი, რომლის შემადგენლობა 4 კაცზე ნაკლებია, თამაშზე არ დაიშვება. თუ ასეთი შემცირება თამაშის დროს მოხდა, თამაში წყდება. გუნდს ორივე შემთხვევაში ეწერება წაგება.

თამაშის განმავლობაში გუნდს უფლება აქვს სათადარიგო მოთამაშეებით შეცვალოს ორი მოთამაშე. წესის დარღვევისათვის გაძევებული მოთამაშე არ შეიცვლება.

იმ შემთხვევების გარდა, როცა დაზიანება აშკარაა, მსაჯის ნებართვის გარეშე თამაშიდან გასული მოთამაშე თამაშზე არ დაიშვება და არც სხვა მოთამაშით შეიცვლება.

მოწინააღმდეგე გუნდების ტანსაცმელი ერთიმეორისაგან განსხვავდება მხოლოდ ფერით. ტანსაცმელი შედგება: ჩაშვებული შარვლისა, ქუდისა, ერთი წყვილი წინდისა, რბილძირიანი უქუსლო ფეხსაცმლისა და ბლაგვაბზინდიანი ქამრისაგან (წელზე შემოსარტყმელად). ხალათი და შარვალი იკერება ჩვეულებრივი ბამბის, ტილოს, ან შალის ქსოვილისაგან, უჯიბოდ.

ხალათი ჩატანებული უნდა იყოს შარვალში. შარვლის წინდებში ჩატანება აკრძალულია. ჩაცმულობის წესების დამრღვევნი მდგომარეობის გამოსწორებამდე თამაშზე არ დაიშვებიან.

4. თამაშის დაწყება, მოთამაშეთა უფლება-მოვალეობანი

მსაჯის წინაშე გუნდები გუნდისთავების წინამძღოლობით მწყობრად გამორბიან მოედანზე და ლახტის წრეში ერთიმეორეს ესალმებიან. გუნდისთავები მსაჯის დახმარებით ჰყრიან კენჭს.

კენჭისყრით ერთ-ერთ გუნდს მოუწევს ლახტის წრეში ჩადგომა. ყოველი მოთამაშე დადგება ქამართან, მოწინააღმდეგენი ითამაშებენ „გარეთ“. მსაჯის ნიშანზე იწყება თამაში. წრეში ჩამდგარნი იცავენ ქამრებს. მოწინააღმდეგენი ცდილობენ გატაცებას.

შენიშვნა: თამაშის დაწყებისათვის თუ „შიგნითა“ გუნდში მხოლოდ 4 მოთამაშეა, მე-5 ქამარი დაირგოლება და დაიდება „მცირე წრეში“. იგი ლახტის ხაზზე გადააქვთ მე-5 მოთამაშის გამოცხადებისთანავე, ან პირველივე ქამრის გატაცების შემდეგ.

„გარეთა“ მოთამაშეებს უფლება აქვთ:

1. მიპარვის, წაწოლის, გაგორების, ხელის კვრისა და სხვა საშუალებით ხელი დასტაცონ, ფეხი გაჰკრან და გაიტაცონ ყოველი, მათ შორის „მცირე წრეში“ მდებარე ქამარიც.

2. გატაცებული ლახტები გადასცენ ერთიმეორეს. მათი საშუალებით გაიტაცონ დანარჩენი ლახტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ნებისმიერად დაიჭირონ ხელში გატაცებული ლახტი და წვივებზე ურტყან ისინი „შიგნითა“ მოთამაშეებს.

4. ლახტის წრიდან „გამოითრიონ“, ან დაიჭირონ წრიდან გამოსული ყოველი „შიგნითა“ მოთამაშე და აქციონ „ტომრად“, დააჯახონ „ტომარა“ წრეში მდგომ სხვა მოთამაშეს და ამგვარად გაიტაცონ ლახტი.

„შიგნითა“ მოთამაშეებს უფლება აქვთ:

1. მუხლს ქვემოთ ტერფის შეხებით „დასჭრან“ გარეთა მოთამაშენი.

2. ლახტის წრიდან გამოუსვლელად ხელი ჩაავლონ გარეთა მოთამაშეებს, „შეითრიონ“ ისინი წრეში და დასჭრან.

3. ხელიდან გამოსტაცონ და დაიბრუნონ გარეთა მოთამაშეების მიერ გატაცებული ლახტები და წვივებზე ურტყან ისინი მოწინააღმდეგეებს.

4. მიეშველონ ერთმანეთს და გაცვალონ ადგილები ყოველი ლახტის დასაცავად.

შენიშვნები: 1. მოთამაშე „დაჭრილად“ არ ჩაითვლება, თუ „დამჭრელი“ დაჭრის დროს იმდენად იყო გამოსული წრიდან, რომ ერთი ფეხითაც არ ეხებოდა წრეხაზს.

2. ერთი მოთამაშის „დაჭრა“ ნიშნავს მთელი გუნდის „დაჭრას“, თამაში წყდება და შესვენების შემდეგ წრეში დგება „დაჭრილი“ გუნდი.

3. „ტომარა“ ეკუთვნის გამოსათრევად ბრძოლის დამწყებ მოთამაშეს, რომელსაც „ტომარაზე“ ხელი უკიდია მკლავში ან ქამარში, მისი სხვაზე „გადაცემა“ აკრძალულია, ხოლო აქეთ-იქით გაუმართლებელი ტარების ან გარეთა წრიდან გამოყვანის შემთხვევაში მსაჯს შეუძლია მისი „გაშვება“.

5. „ტომარას“, ვიდრე მასზე „პატრონს“ ხელი უკიდია, ან ვიდრე იგი ცალი ფეხით მაინც არ შეეხება ლახტის წრეხაზს, უფლება არა აქვს წინააღმდეგობის გაწევისა, ან თამაშში ჩაბმისა.

5. ლახტის გაწყვეტის შემთხვევაში თამაში ახლდება ზუსტად იმავე მდგომარეობიდან, რომელშიაც შეწყდა ბრძოლა.

5. თამაშის წესების დარღვევა

წესის დარღვევად ითვლება: ლახტის მორტყმა მუხლს ზემოთ; გარეთა წრიდან გამოსვლა; ფეხით შეხება „დაჭრის“ ცდის დროს მუხლს ზემოთ; ხელის ჩავლება ტანსაცმელში ლახტის გადაადგილება, ან მასზე ფეხის დადგმა შიგნითა მოთამაშის მიერ, ზედმეტი ლაპარაკი, მსაჯთან შეკამათება და უხეში საქციელი.

შენიშვნა: თუ მცველის ფეხის დადგმით ლახტი აშკარად გადარჩა გატაცებას, იგი გატაცებულად ითვლება.

6. თამაშის ხანგრძლივობა

თითოეულ შეხვედრაში გუნდმა უნდა ითამაშოს ერთხელ წრეში და ერთხელ გარეთ. შუალედში ეძლევა 5-წუთიანი შესვენება. გუნდების მდგომარეობა იცვლება „ჩაჭრისთანავე“, ან ლახტის გატაცების მე-5 შემთხვევისთანავე.

შენიშვნა: თუ ორივე შეხვედრის შედეგი ფრეა, ხოლო გამარჯვებულის გამოვლინება აუცილებელია, ინიშნება ორი დამატებითი შეხვედრა 10-წუთიანი შესვენებებით. თუ საკითხი კიდევ არ გადაწყდა, განმეორებითი შეხვედრა ინიშნება მეორე დღისათვის.

7. მსაჯობა და თამაშის შედეგი

მსაჯი წესის დარღვევისათვის მოთამაშეს აფრთხილებს, ხოლო განმეორებისა და უხეში თამაშისათვის მოედნიდან აძევებს.

ლახტის გაწყვეტის, მოთამაშის დაზიანების, უხეში თამაშის, ან სხვა მსგავს შემთხვევაში მსაჯს შეუძლია შეაჩეროს თამაში მდგომარეობის აღდგენამდე, მას უფლება აქვს გადასდოს თამაში განსაკუთრებულ შემთხვევაში (ძლიერ ცუდი ამინდი, მაყურებელთა ჩარევა და სხვ.).

თამაშის დამთავრების შემდეგ მსაჯს თამაშის შედეგები შეაქვს ოქმში, ხელს აწერინებს ორივე გუნდის წარმომადგენელს და აცხადებს.

მსაჯის გადაწყვეტილებანი თამაშის დროს საბოლოოა. გასაჩივრება შეიძლება ერთი საათის განმავლობაში თამაშის დამთავრებიდან.

საჩივარს წერენ გუნდის წარმომადგენელი და გუნდისთავი და გადასცემენ შეჯიბრის მომწყობი ორგანიზაციის წარმომადგენელს.

ლახტის ყოველი გატაცებისათვის გარეთა გუნდს ეწერება ერთი ქულა და აკლდება თითო ქულა ლახტის ყოველი „დაკარგვისათვის“.

გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც მეტ ქულებს დააგროვებს.

თუ პირველობის გათამაშებაში გამარჯვებათა მიხედვით ორი გუნდი ერთსა და იმავე ადგილზე გამოვიდა, უპირატესობა ეძლევა იმ გუნდს, რომელმაც ქულათა მეტი ოდენობა დააგროვა.

ზაქარია შერაზადიშვილი

რომელი უფრო ჭკვიანია?

რომელი უფრო ჭკვიანია: ძაღლი თუ კატა? მართალია, რომ სპილოს განსაკუთრებული მახსოვრობა აქვს, ხოლო გველი ცბიერი და ეშმაკი ცხოველია? ასეთი შეკითხვები ხშირად მოსდის ხოლმე რედაქციას.

როგორი მეთოდით სარგებლობენ მეცნიერები ცხოველთა გონიერების გამორკვევისას? ამისათვის ცხოველები საკმაოდ რთულ „გამოცდებს“ აბარებენ.

ერთ-ერთი გამოცდა, მაგალითად, ასეთია: რამდენიმე ძაღლი ოთხკარიან ოთახში დაამწყვდიეს, სადაც მხოლოდ ერთი კარი იყო ღია, სამი დანარჩენი კი დაკეტილი. მეზობელ ოთახიდან შემწვარი ხორცის სუნი შემოვიდა. ძაღლები, რომლებმაც კარების დანიშნულება, ცხადია, ადრევე იცოდენ, მაშინვე კარებს მიცვივდნენ და ასე აღმოაჩინეს ერთი ღია კარი, რომლის გაღებაც თვითონ შეძლეს.

ეს ცდა რამდენჯერმე გაიმეორეს. შემდგომი ცდების დროს ძაღლებს უკვე კარგად ახსოვდათ, რომელი კარი იყო ღია და სწორედ იმას მიცვივდებოდნენ ხოლმე. მაგრამ შემდეგი ცდებისთვის ის ღია კარი ჩაკეტეს და მეორე გააღეს. ძაღლები მაინც იმავე კარს აწყდებოდნენ და ვერც ერთმა ვერ მოიფიქრა, რომ სხვა კარებიდან ეცადა გასვლა.

ასეთივე გამოცდა მაიმუნებსაც ჩაუტარეს და სავსებით საწინააღმდეგო შედეგი მიიღეს. მაიმუნები ღია კარის ჩაკეტვის შემდეგ, ბედს კი არ შეურიგდნენ და გაჩერდნენ, პირიქით, სხვა კარიც მოსინჯეს და ღია გასასვლელი ადვილად აღმოაჩინეს. ამით მათ ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ძაღლებზე გაცილებით ჭკვიანები არიან. მაიმუნი რომ ძაღლზე ჭკვიანია, დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ ცდების დროს შიმპანზემ ისეთი განსაკუთრებული გონიერება გამოიჩინა, რომ მეცნიერებიც კი გააკვირვა.

ორ ახალგაზრდა შიმპანზეს გალიასთან პროდუქტებით სავსე ყუთი დაუდგეს. მაიმუნებმა ყუთები ადვილად დაითრიეს. შემდეგ ერთი მძიმე ყუთი დადგეს, ერთი მაიმუნი მას ვერ ერეოდა. ამასთან, ყუთს ბაწარიც მიამბეს. ახლა საინტერესო იყო, მიხვდებოდნენ თუ არა მაიმუნები ბაწრის დანიშნულებას და გამოიყენებდნენ თუ არა კოლექტიურ ძალას.

ორივე შიმპანზე ცალ-ცალკე ხან ერთ, ხან მეორე ბაწარს სწევდა, მაგრამ უცებ, სრულიად მოულოდნელად, ბაწარი ერთად გაქაჩეს. ეს იყო და ეს, მას შემდეგ მიხვდნენ, რომ ორნი ადვილად ერეოდნენ ყუთს და ერთად დაიწყეს მოქმედება. მაგრამ გამოცდა კიდევ უფრო გართულდა. სანამ ყუთს დადგამდნენ, ერთი მაიმუნი კარგად გააძღეს, მეორე კი მშიერი დატოვეს. ყუთი რომ ბადესთან გამოჩნდა, მშიერი მაიმუნი აწრიალდა, აყვირდა, ეცა ბაწარს, მაგრამ ვერაფერი გააწყო: ყუთი მძიმე იყო. მაძღარი ცხოველი კი ყურს არ იბერტყავდა. მაშინ მშიერმა მაიმუნმა საცოდავი ჭყივილი ასტეხა, ხტოდა, გარს უვლიდა თანამძმეს. ცხადი იყო, რომ იგი შველას ითხოვდა. და იცით, აქ მოხდა საკვირველება:— მაძღარმა „შეიცოდა“ იგი და მოეხმარა—ბაწარი ერთად გამოსწიეს, ყუთი ბადესთან მიაჩოჩეს, მაძღარ მაიმუნს კი საჭმელისათვის ხელი არ უხლია.

ჩააბარა რა ეს გამოცდა, შიმპანზემ პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილი კაპუცინს ხვდა წილად, მესამე, გორილას, მეოთხე კი ყველა სხვა ჯიშის მაიმუნებს. ძაღლებისა და კატების მოყვარულთა ძველი დავა თუ რომელი მათგანია უფრო ჭკვიანი, საბოლოოდ ძაღლების სასარგებლოდ გადაწყდა, მათ მეხუთე ადგილი დაიკავეს, კატებმა კი მეექვსე. მაგრამ ესეც უნდა ითქვას, რომ განსხვავება მათ შორის ძალზე მცირეა. პირიქით, ზოგიერთი ჯიშის კატა ზოგიერთი ჯიშის ძაღლზე ჭკვიანიც კი არის. და კიდევ ერთი საინტერესო დეტალი—მოხეტიალე კატები ყოველთვის უფრო გონიერები აღმოჩნდნენ, ვიდრე ოჯახის კატები. მეშვიდე ადგილი სპილომ დაიკავა, რომელმაც ახლის შეთვისების კარგი უნარი გამოამჟღავნა. და, რაც ყველაზე საკვირველია, ღორები გაცილებით ჭკვიანები აღმოჩნდნენ, ვიდრე ცხენები.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

მშობლიურ მხარეში

ტყის ამ ბილიკს მე და შენი
გაღიმება შვენის,
გველოდება ზედაზენი,
ვარძია და გრემი.

გველოდება მშობელ კუთხის
მწვანე მთა და ველი.
ჩუმად, სადღაც უსტვენს შურთხი,
დაბალახობს შველი:

ვმოგზაურობთ, ქარს და წვიმას
როდი ვუშინდებით,
გავათენეთ თერგის პირას
ღამე გუშინდელი.

ზაფხულის მზე თავზე დაგვცქერს—
კაშკაშა და მწველი,
აიმ მთაზე კარავს დასცემს
რაზმეული ჩვენი.

ჩვენ იქიდან ვარსკვლავიან
ცას მივწვდებით ხელით,
ის მთა ისე მაღალია,
ვერ ასულან ხენიც.

ჩუმად, სადღაც უსტვენს შურთხი,
დაბალახობს შველი.
გველოდება მშობელ კუთხის
მწვანე მთა და ველი.

მშობლის კარგი შვილი ვარო,
ნულარ იტყვი ბარემ,
თუ ფეხით არ მოიარე
მშობლიური მხარე.

შეეჩვიეთ წყალს

ცურვა ისევე აუცილებელია ბავშვისათვის, როგორც სიარული, სირბილი და სხვა ბუნებრივი მოძრაობანი. იგი განსაკუთრებით კარგად მოქმედებს მოზარდთა ჯანმრთელობასა და ფიზიკურ განვითარებაზე. ბავშვები, რომლებიც სისტემატურად მეცადინეობენ ცურვაში, შესანიშნავი აღნაგობისა არიან, ეზრდებათ ფილტვების მოცულობა, უმტკიცდებათ ნერვული სისტემა. ცურვის შემდეგ ისინი თავს ხალისიანად გრძნობენ, ემატებათ შრომისუნარიანობა, უუმჯობესდებათ მადა და ძილი. ხოლო წყალში ჩასვლა-ამოსვლით გამოწვეული ტემპერატურის მკვეთრი ცვლა კარგად აწრთობს ორგანიზმს. ცურვის შესწავლა ყველა ასაკში შეიძლება. განსაკუთრებით იოლად ეუფლებიან ცურვას 9—12 წლის ბავშვები. მაგრამ შვიდი, ექვსი და ხუთი წლის ასაკშიაც, სულ რაღაც 12—14 მეცადინეობის შემდეგ უკვე თავისუფლად გრძნობენ წყალში თავს.

ცურვის დროს წყლის ტემპერატურა სასურველია 18—22 გრადუსი იყოს. ბანაობა და ცურვა ყოველდღეა სასურველი, რასაკვირველია, თუ ცუდი ამინდი არ არის.

ცურვის შესასწავლად პირველ ხანებში საჭიროა რამდენიმე იოლი ვარჯიშის შესრულება და მისი კარგად დაუფლება. ეს მოძრაობები თქვენ ბევრს დაგეხმარებათ, შეგაჩვევენ წყალს, გაგიადვილებენ წყალზე ტივტივს, შემდეგ კი უკვე ხშირი მეცადინეობა, ცურვის სრულყოფაა საჭირო.

ვარჯიში პირველი. ჩადით წყალში წელამდე. დადექით პირით ნაპირისაკენ, ჩაისუნთქეთ ჰაერი. ჰკარით ფეხები ფსკერს, გაჭიმეთ ხელები, ჩაჰყავით სახე წყალში, გაჭიმული ფეხები ერთად შეაერთეთ და ასე მიცურდით ნაპირამდე.

ვარჯიში მეორე. დაწექით თავდაღმა ისე, რომ ტანი ნაპირზე, ხმელეთზე იყოს, ფეხები კი წყალში. ფეხებით რიგრიგობით სწრაფად გააკეთეთ მოძრაობა ზევით-ქვევით ისე, რომ მაღლა აწევისას ფეხი ოდნავ მოიღუნოს მუხლებში, ჩაწევისას კი გამართული იყოს.

ვარჯიში მესამე. დაეყრდენით ხელებით ფსკერს ისე, რომ წყალი სახემდე გწვდებოდეთ. სწრაფად ამოძრავეთ ფეხები ზევით-ქვევით, თან ეცადეთ არ დაიძაბოთ. მაღლა აწევისას ფეხის ტერფი წყალს უნდა ასცდეს, ფეხი მუხლში ოდნავ უნდა მოიხაროს.

ვარჯიში მეოთხე. გააკეთეთ ფეხებით იგივე ვარჯიში და თან ფსკერზე დაყრდნობილი ხელებით წინ იარეთ.

ვარჯიში მეხუთე. დადექით პირით ნაპირისაკენ. გაწექით წყალზე ისე, როგორც ეს პირველ ვარჯიშშია ნაჩვენები, და თან ფეხები სწრაფად ამოძრავეთ.

ვარჯიში მეექვსე. ჩასჭიდეთ ხელები სპეციალურად მომზადებულ ფიცარს და ფეხების სწრაფი მოძრაობით გასცურეთ ნაპირის გასწვრივ.

ვარჯიში მეშვიდე. ჩადით წყალში მკერდამდე. დადექით ზურგით ნაპირისაკენ, ოდნავ აირეკლეთ ფსკერიდან, დაწექით მკერდზე, აამოძრავეთ ფეხები და გაცურდით ნაპირისაკენ.

ვარჯიში მერვე. ჩადექით წყალში წელამდე. გადგით ფეხები მხრების სიგანეზე და დახარეთ ტანი წინ, ერთი ხელი, ნებით ქვემოთ და შემჭიდროებული თითებით, გაჭიმეთ წინ, მეორე კი, იდაყვში მოხრილი, უკან გაიტანეთ. ორივე ხელი სრულიად დაუძაბავი უნდა იყოს. ამ მდგომარეობიდან მორიგეობით ამოძრავეთ ხელები, მოუსვით წყალს.

თუ ამ მოძრაობებს სათანადოდ შეითვისებთ, თქვენ უკვე ახლოს იქნებით ცურვის იმ ყველაზე მარტივ სახესთან, რომელსაც, „კროლი“ ეწოდება. ამასთან, შეეჩვევით წყლის ზედაპირზე ტივტივს, რაც დაგეხმარებათ ზურგზე ცურვის შესწავლაში. გახსოვდეთ, რომ სხეული ყოველთვის რაც შეიძლება ჰორიზონტალურად იყოს წყალში. ამავე დროს შეეცადეთ სხეულის არც ერთი ნაწილი (არც თავი) ზედაპირზე არ ამოსწიოთ.



სამი სახის წყალი

ჩაის მოყვარულთაგან ბევრი ამტკიცებს, რომ არსებობს ამ სასმელის მოდუღების განსაკუთრებული ხერხები, რომელთა წყალობითაც იგი არაჩვეულებრივ სურნელებას, გემოსა და ფერს ღებულობს. ერთ-ერთი ძველი ჩინელი სწავლულის მტკიცებით, მარტო ჩაის კარგი ფოთოლი როდია საკმარისი,—დიდ როლს თამაშობს წყალიც. იგი წერდა: „მთის წყალი უმაღლესი ხარისხისაა, მდინარისა—საშუალო, ჭის წყალი კი—დაბალი ხარისხისა“. მეორე ჩინელი სწავლული ამტკიცებდა, რომ არსებობს ჩაის ადუღების 16 სხვადასხვა ვადა.

ერთ რამეში კი თანხმდებიან ძველი დროისა და თანამედროვე ჩაისმოყვარულები: არ შეიძლება ჩაის დიდ ხანს დუღილი, ვინაიდან იგი ამით კარგავს თავის გემოსა და სურნელებას.

შთამაგონებელი ციფრი

ჩვენი ქვეყნის შვიდწლიანი გეგმის ციფრებში არის ასეთი ციფრი: 1965 წელს ქიმიურმა მრეწველობამ უნდა გამოუშვას 31 მილიონი ტონა მინერალური სასუქები. მეცნიერთა გამოკვლევით ამ ტვირთის გადასატანად საჭირო იქნება ათ მილიონზე მეტი სამტონიანი საბარგო მანქანა. წარმოიდგინეთ, რომ ეს მანქანები ერთ მწკრივში ჩადგეს, ასეთი კოლონა დედამიწიდან მთვარემდე მიაღწევდა.

„მთვარის ენერგიის“ დახმარებით

ცნობილია, რომ ზღვებისა და ოკეანეების მიქცევა და მოქცევა მთვარის მიზიდულობის შედეგია. მეცნიერებმა და ინჟინრებმა ბევრი პროექტი წამოაყენეს, რათა გამოყენებულ იქნეს წყლის ამ უზარმაზარი მასის მოძრაობა. ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური პროექტი ეკუთვნის საბჭოთა ინჟინერს ნ. რომანოვს, რომელმაც მოიფიქრა „მთვარის ენერგიის“ საშუალებით შორეული აღმოსავლეთის ჰავის გაუმჯობესება.

იაპონიის ზღვა და თათრის სრუტე (სადაც დინება კურო-სივოს თბილი წყალი შეაქვს) ოხოტის ზღვიდან გამოყოფილი არიან ნეველის სრუტით, რომლის სიგანე ყველაზე ვიწრო ადგილას 7 კილომეტრია. აქ ყოველ ექვს საათში მოქცევა იცვლება მიქცევით, რის გამოც ხან თათრის სრუტიდან ოხოტის ზღვაში თბილი წყალი შედის, ხან კი პირიქით, ოხოტის ზღვიდან თათრის სრუტეში ცივი წყალი მიედინება.

ინჟინერ რომანოვის აზრით საჭიროა ნეველის სრუტეში აშენდეს ალაყაფიანი კაშხალი, რომელიც მხოლოდ ერთი მიმართულებით—თათრის სრუტიდან ოხოტის ზღვაში გაუშვებს წყალს. ინჟინრის გამოანგარიშებით, ამ ალაყაფის კარებში მთვარე ყოველწლიურად გადაქაჩავს ათას კუბურ კილომეტრზე მეტ თბილ წყალს. ეს საკმარისი იქნება იმისათვის, რომ შორეული აღმოსავლეთის ჰავა გაუმჯობესდეს; გაქრება იქაური სუსხიანი ზამთარი, იანვრის საშუალო ტემპერატურა მინუს 10 გრადუსზე ნაკლები იქნება; ტუნდრები და ჭაობიანი ტაიგა ხშირი ტყეებითა და ხეხილის ბაღებით დაიფარება.

მცურავი გვირაბი

წარმოიდგინეთ სიგრძით 95 და სიგანით 25 მეტრის რკინა-ბეტონის უზარმაზარი მილი. ასეთი მცურავი გვირაბი უნდა ააგონ იაპონელებმა კუნძულების—ხოკაიდოსა და ხონსუს შორის. ეს კუნძულები ღრმა სრუტით არის გაყოფილი და თან ფსკერი ხშირად ვანიცდის ვულკანურ მოქმედებას. გვირაბ-მილში გაივლის რკინისა და საავტომობილო გზა. იგი წყალში მხოლოდ 20 მეტრის სიღრმეზე იქნება ჩამალული.

3000 წლის ურთხელი

ინგლისის ერთ საგრაფოში, რომელსაც კენტის საგრაფოს ეძახიან, დღემდე დგას 3000 წლის ხე—ურთხელი, რომელიც არსებობდა და ხარობდა რომის კეისარ იულიუსის მიერ ინგლისის დაპყრობის დროსაც.

2000 წლის ხომალდი

ამას წინათ კუნძულ ლევანის წყალქვეშა კლდეში აღმოაჩინეს 2000 წლის წინ ჩაძირული ხომალდი, რომელშიც რამდენიმე ასეული ქოთანი იყო ჩაწყობილი.

მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ ეს ხომალდი ეკუთვნოდა რომის კეისარ იულიუსს. ამ ხომალდით, ეტყობა, კონსერვები მიჰქონდათ რომის ჯარისათვის, რომელიც იულიუს კეისრის სარდლობას ეკუთვნოდა.

სიცივის გავლენით

იცით თუ არა, რომ ზამთრობით მოსკოვსა და ლენინგრადს შორის მანძილი 300 მეტრით ნაკლებია, ვიდრე ზაფხულში? ყოველ შემთხვევაში, სიცივის გამო ამდენად მოკლდება ამ ორი ქალაქის დამაკავშირებელი რკინიგზის ლიანდაგები. აი, კიდევ სხვა მაგალითი, თუ რა გავლენას ახდენს ყინვა ლითონის დიდ ნაგებობაზე. პარიზში, მდინარე სენაზე გადებული ხიდი 1927 წელს ყინვის შედეგად ისე შეიკუმშა, რომ მისი ქვაფენილი ჯერ აპოიბურცა, ხოლო შემდეგ დაიშალა. საჭირო გახდა ხიდის დაკეტვა სანამ შეაკეთებდნენ. ცნობილია აგრეთვე, რომ ზამთარში ეიფელის კოშკი 15 სანტიმეტრით უფრო დაბალია, ვიდრე ზაფხულის ცხელ დღეებში.

ფრანგებს არ უნდათ უცხო სიტყვები

ფრანგულ გაზეთებში სულ უფრო ხშირად იპარება ანგლო-ამერიკული წარმოშობის სიტყვები; ამიტომ მშობლიური სიწმინდის დასაცავად ხმა აიმაღლეს ფრანგმა პატრიოტებმა. ხუთასი კაცი ჩაება ამ საქმეში: გულმოდგინედ გადაიკითხეს პარიზის ურიცხვი გაზეთების ერთი დღის ნომრები და მათში უამრავი უცხო სიტყვები აღმოაჩინეს. «კონკურსში» გამარჯვებული გაზეთის ერთ ნომერში 60 უცხო სიტყვა იპოვეს. ამ გაზეთს საზოგადოებრივი ზიზღი გამოუცხადეს.

ტბა 3240 მეტრის სიმაღლეზე

ტაჯიკეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბადახშანის მთიან რაიონში არის ტბა, რომელსაც ხალხი სარეზის ტბას ეძახის. ეს ტბა წარმოიშვა 1911 წელს ძლიერი მიწისძვრის შედეგად, როდესაც ზვავმა გზა შეუღობა მდინარე მურღაბს და შექმნა პირობები ტბის წარმოსაშობად. ტბის სიგრძე 70 კილომეტრამდე, ხოლო სიღრმე 1000 მეტრამდე აღწევს.

„ПИОНЕРИ“ журнал ЦК ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина,
№ 6, 1960 г. Тбилиси, пр. Плеханова, 91. Тел. 3—81—85
სსრკ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა «ნაკადული». | რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 3-81-85
უე 00036. ტირ. 23.000. პირ. ფორ. რაოდ. 4½, ფიზ. ფორმ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 6/VI-60 წ. სტამბის შეკვ. 760. გამომც. შეკვ. 297. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის
პ|კ «კომუნისტი». | რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. || ფასი 2 მან. |

ᰰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓ: 1. მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკა; 5. ტანსაცმელი; 6. სუბტროპიკული კულტურა; 7. ბუნებრივი წყალსაცავი; 9. ცეკვა; 11. ნ. ლომოურის მოთხრობა; 13. კუროორტი შავი ზღვის სანაპიროზე; 15. ინდუსტრიული ქალაქი საქართველოში; 16. ქართული ბალეტი; 18. ქართული ოპერა; 19. მდინარე საქართველოში; 22. ქართული საკრავი.

ᰰᲕᲔᲠᲢᲘᲙᲐᲚᲣᲠᲐᲓ: 2. ა. ყაზბეგის მოთხრობის გმირი; 3. „ვეფხის ტყაოსნის“ პერსონაჟი; 4. მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქი; 5. პურეულის რაიონი საქართველოში; 8. სოფლის მეურნეობის მავნებელი; 9. მეორე ინდუსტრიული ცენტრი საქართველოში; 10. მწვერვალი კავკასიონზე; 12. სოფელი თბილისის ახლოს; 14. დიდი ჩაქუჩი; 17. ნიავი.

შეადგინა

ბ. ქართველიშვილმა



ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

არც ტუჩი აქვს
და არც პირი,—
ასეული კი აქვს კბილი.

ნ. კლდიაშვილი

ᲤᲐᲜᲥᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲡᲛᲘᲗ

დახაზეთ ეს ფიგურა ფანქრის ერთი მოსმით ისე, რომ ერთხელ გავლებულ ხაზზე ფანქარი მეორედ აღარ გადაატაროთ.

ა. ხასკინი



ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲡᲐᲖᲠᲘᲐᲜᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ

ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ ოსტატი ისე მოიქცა, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები და მიიღო კვადრატი, რომლის გვერდები ზუსტად 12 სანტიმეტრია.



ᲛᲐᲙᲠᲐᲢᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲭᲠᲘᲗ

მაკრატლის ერთი გაჭრით მიიღება 5 ნაწილი და ლაგდება კვადრატი ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები.



2 1

ᲛᲝᲢᲘᲤᲘᲥᲠᲔᲗ

* * *

წუთების მაჩვენებელი ისარი საათების მაჩვენებელ ისარს უსწრებს ოცდაორჯერ.

* * *

45 ცალი კაკალი 9 თეფშზე ლაგდება ასე: 1; 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9.

* * *

დარჩა ორი სანთელი, დანარჩენი დაიწვა.

ᲗᲐᲕᲡᲐᲢᲔᲮᲘ

1. გლაზგო; 2. ევროპა; 3. ორიოლი; 4. გროზნო; 5. რუსეთი; 6. ალდანი; 7. ფინეთი; 8. იტალია; 9. ანკარა.

ამოიკითხება — „ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ“.

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

წაბლი.

ᲠᲝᲛᲔᲚ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ?

ქალაქები, სადაც ვ. ი. ლენინს უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა:

1. კოპენჰაგენი; 2. ლონდონი; 3. პარიზი; 4. ჟენევა; 5. ბერნი; 6. ციურიხი; 7. მიუნხენი; 8. ვენა; 9. პრაღა; 10. ლაიფციგი; 11. ბერლინი; 12. კრაკოვი; 13. სტოკჰოლმი; 14. ტამპერე (ტამერფორსი); 15. ჰელსინკი; 16. ლენინგრადი (პეტერბურგი); 17. ფსკოვი; 18. რიგა; 19. ვილნიუსი (ვილნო); 20. მოსკოვი; 21. ორეხოვო-ზუევო; 22. გორკი (ნიჟნი-ნოვგოროდი); 23. ვლადიმირი; 24. კუიბიშევი (სამარა); 25. ულიანოვსკი (სიმბირსკი); 26. მინუსინსკი; 27. კრასნოიარსკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასეირნება

ფოტოლეტიუდი **გ. გაბუნიასი**